

**ნაფიც მსაჯულთა  
სასამართლოს შესახებ  
ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
პრეცედენტული სამართლის  
მიმონილვა**

ნაშრომი მომზადდა  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორი

**ნათია ჯუღელი**

კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

მთავარი რედაქტორი

**მარინა კვაჭავაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ტიქნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

## სარჩევნი

შესავალი .....	7
<b>ნაფიც მსაჯულთა სსსამართლო და სამართლიანი სსსამართლო განვიღვის უფლება</b>	
ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ ( <b>Taxquet v. Belgium</b> ) .....	10
კუპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ <b>Cooper v. United Kingdom</b> .....	15
ზაროული ბელგიის წინააღმდეგ <b>Zarouali v. Belgium</b> .....	16
კლიმენტიევი რუსეთის წინააღმდეგ <b>Klimentiev v. Russia</b> .....	17
<b>ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის „დასაბუთებულობა“</b> ....	18
ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ <b>Taxquet v. Belgium [GC]</b> .....	19
შალა ნორვეგიის წინააღმდეგ <b>Shala v. Norway</b> .....	22
რ. ბელგიის წინააღმდეგ <b>R v. Belgium</b> .....	23
ზაროული ბელგიის წინააღმდეგ <b>Zarouali v. Belgium</b> .....	24
პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ <b>Planka v. Austria</b> .....	25
სარიკი დანიის წინააღმდეგ <b>Saric v. Denmark</b> .....	25
პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ <b>Papon v. France</b> .....	26
ბელერინ ლაგარეს ესპანეთის წინააღმდეგ <b>Bellerin Lagares v. Spain</b> .....	26
<b>ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწვეთა სანდოობის შეფასება</b>	
პიჩუგინი რუსეთის წინააღმდეგ <b>Pichugin v. Russia</b> .....	27
გოქტეპე ბელგიის წინააღმდეგ <b>Goktepe v. Belgium</b> .....	31
ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ <b>Legillon v. France</b> .....	32

ლეომიტა ბელგიის წინააღმდეგ	
<b>Lhermite v. Belgium</b> .....	35
<b>ნაზიც მსაჯულთა ინსტრუქციები</b>	
ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Judge v. United Kingdom</b> .....	39
სზუპუსზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>SZUPUSZ v. THE UNITED KINGDOM</b> .....	41
გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>GREGORY v. THE UNITED KINGDOM</b> .....	44
სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Sander v. The United Kingdom</b> .....	46
პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Pullar v. The United Kingdom</b> .....	49
მიშა ელიას გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Misha Elias v. The United Kingdom</b> .....	55
ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Horncastle and others v. The United Kingdom</b> .....	57
მუსტაფა კამალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Mustafa Kamal v. The United Kingdom</b> .....	57
მიდლტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Middleton v. United Kingdom</b> .....	63
კრისტიანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ	
<b>Kristianseni v. Norway</b> .....	66
აბდულა ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Abdulla Ali v. United Kingdom</b> .....	70
სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ	
<b>Svinarenko and Slyadnev v. Russia</b> .....	74
თვომი, ქამერონი და გუთრი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Twomey, Cameron and Guthrie v. The United Kingdom</b> .....	76
<b>ნაზიც მსაჯულთა მონაწილეობით</b>	
<b>საქმის განხილვის „გონივრული ვადა“</b>	
ჰენვორტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ	
<b>Henworth v. The United Kingdom</b> .....	79
გრინინი რუსეთის წინააღმდეგ (Grishin v. Russia) .....	82
სუთიაგინი რუსეთის წინააღმდეგ	
<b>Sutyagin v. Russia</b> .....	86

## **წინასიტყვაობა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული 30 მნიშვნელოვანი საქმის მიმოხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის დამახასიათებელ ისეთ ძირითად საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობა, ვერდიქტის დასაბუთებულობა, მასმედიის ზეგავლენისგან დაცვის სათანადო გარანტიები, მოწმეთა სანდოობის შეფასება, სამართალწარმოების ხანგრძლივობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები.

მიგვაჩნია, რომ კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისთვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ფართო პრობილის იურისტებისათვის.

## **მარინე კვაჭაძე**

უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

## PREFACE

“The review of landmark cases of the European Court of Human Rights on Jury Trial” was prepared within the framework of the Analytical Department. Based on the ECtHR practice, the document covers and analyses the following important aspects of jury trial, in particular: the requirement of impartiality; a reasoned judgment by a jury; guarantees to protect jurors from Media influence; assessing the witness credibility; reasonable time and the role of Jury Instructions.

We consider that the Research will be of particular interest not only for people working in the Judiciary, but for the professors, students and other persons interested in human rights issues.

Prof. Dr. **MARINA KVACHADZE**

The Head of Analytical Department

## შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცლებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“.

კონვენციის წინამდებარე მუხლი ცალსახად არ მიუთითებს არც ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვაზე და არც გადანყვეტილების დასაბუთების ვალდებულებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მიიჩნევა მისაღებ ფორმად, ხოლო გადანყვეტილების დასაბუთება იგულისხმევა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებში.

ნაფიც მსაჯულების, როგორც არბიტრთა როლი და დასაბუთებული გადანყვეტილების კრიტერიუმები განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეკედენტული სამართლით. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულ განსაზღვრულ საქმეებზე, ვერდიქტის დასაბუთების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმის კონკრეტული გარემოებები.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> <http://www.ejtn.eu/PageFiles/15659/2013%20ECTHR%20Case-law%20Guide%20Article%206%20criminal.pdf>

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამართალწარმოების სპეციფიკა, რადგან ნაფიც მსაჯულებს არ მოეთხოვებათ, უფრო მეტიც, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, უფლება არ აქვთ დაასაბუთონ ვერდიქტის განმაპირობებელი პირადი მოსაზრებები. ასეთ დროს მე-6 მუხლი მოითხოვს შეფასდეს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ თავიდან აცილებულიყო თვითნებობის რაიმე რისკი, და ესმოდა თუ არა ბრალდებულს მისი მსჯავრდების საფუძვლები. პროცესუალურ გარანტიას შეიძლება წარმოადგენდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიწოდებული მითითებები ან მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული ნათელი და არაორაზროვანი შეკითხვები, რომლებიც ვერდიქტის საფუძვლების დადგენაში ეხმარება ნაფიც მსაჯულებს, ან იმ ფაქტის საკმარისად დაბალანსება, რომ გამამტყუნებელ ვერდიქტში მისი მიღების განმაპირობებელი მიზეზები არ არის დასახელებული. სასამართლოს შეფასებით, რამდენიმე ბრალდებულის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა წინაშე დასმული შეკითხვები იყოს მკაფიო, თითოეულ ბრალდებულთან მიმართებაში შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებების მითითებით, რაც დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაში. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ (*Goktepe v. Belgium*, №50372/99, § 28, ECHR 2005) დაადგინა დარღვევა იმ საფუძვლით, რომ დასმული შეკითხვები იყო ზოგადი და ბუნდოვანი შინაარსის, რომელიც არ ემსახურებოდა თითოეული ბრალდებულის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზანს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განხილული აქვს არაერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის დამახასიათებელ ისეთ ძირითად ასპექტებზე როგორცაა: ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობა, ვერდიქტის დასაბუთებულობა, მასმედიის ზეგავლენისგან დაცვის სათანადო გარანტიები, მონმეთა სანდოობის შეფასება, სამართალწარმოების ხანგრძლივობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები.



პრაქტიკაში დამკვიდრებულია მიდგომა, რომ საქმე შესაძლებელია განხილოს არა მხოლოდ პროფესიონალმა მოსამართლემ, არამედ ნაფიცმა მსაჯულებმაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვით. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განხილული აქვს საქმეები, რომლებშიც ნათლად ჩანს, რომ ევროპის საბჭოს ნევრ სახელმწიფოებში არსებობს გამოუცდელ არბიტრთა მიერ (ნაფიცი მსაჯულები) საქმის განხილვის სხვადასხვა მოდელები.

## ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

### ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium*)<sup>2</sup>

- (§43) ნათელია, რომ ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ბევრი სხვადასხვა მოდელი არსებობს. სხვადასხვა მოდელი ასახავს შესაბამისი ქვეყნების კულტურულ და ისტორიულ თავისებურებებს, მათ შორის, ისეთ ქვეყნებშიც, რომლებმაც არჩევანი „ტრადიციულ“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოდელის სასარგებლოდ გააკეთეს, რომლის მიხედვითაც, პროფესიონალ მოსამართლეებს ნაფიც მსაჯულთა თათბირში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ.
- (§44) ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ: ქვეყნები, რომელთაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რაიმე მოდელი ან ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის სისტემა არ აქვთ; ქვეყნები, რომლებიც გამოიყენებენ თანამშრომლობის მოდელს, კერძოდ, როდესაც სისხლის სამართლის საქმეებზე პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად მსაჯულებიც თათბირობენ; და მესამე კატეგორია, რომელმაც სისხლის სამართლის საქმეებზე არჩევანი ნაფიც მსაჯულთა „ტრადიციული“ მოდელის სასარგებლოდ გააკეთა.
- (§45) განხილულ მოდელებს შორის, ევროპის საბჭოს თოთხმეტ წევრ ქვეყანას არასოდეს ჰქონია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემა, ან სისხლის სამართლის საქმეებში მსაჯულთა მონაწილეობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ან გააუქმეს ეს სისტემა, ეს ქვეყნებია: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კიპრი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, სან მარინო და თურქეთი. ამ ქვეყნებში, სისხლის სამართლის სასამართლო სისტემა შედგება მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეებისგან.

<sup>2</sup> *Taxquet v. Belgium* [GC], №926/05, ECHR 2010

- (§46) თანამშრომლობის სისტემის მქონე წევრი ქვეყნებია: ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, მონაკო, მონტენეგრო, ნორვეგია (უმეტეს შემთხვევებში), პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, „მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა“ და უკრაინა. თანამშრომლობის სისტემა, რომელიც ასევე შესაძლოა იყოს გამოყენებული ნაფიც მსაჯულთა ტრადიციულ მოდელთან ერთობლიობაში ხასიათდება იმით, რომ პროფესიონალი მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები ყველა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებას, ასევე ბრალეულობის და სასჯელის განსაზღვრის საკითხს, ერთობლივად ადგენენ.
- (§47) ევროპის საბჭოს წევრმა ათმა ქვეყანამ არჩევანი ნაფიც მსაჯულთა ტრადიციული სასამართლო სისტემის სასარგებლოდ გააკეთა, კერძოდ: ავსტრია, ბელგია, საქართველო, ირლანდია, მალტა, ნორვეგია (მხოლოდ რთულ საქმეებში სააპელაციო ინსტანციის დონეზე), რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, შვეიცარია (ჟენევის კანტონი), 2011 წლის 1 იანვრამდე, და გაერთიანებული სამეფო (ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია).
- (§48) თავისი ტრადიციული ფორმით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება ნაფიცი მსაჯულებისა და რამოდენიმე პროფესიონალი მოსამართლისგან. მსაჯულთა რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანასა და განხილვის საგანზე. პროფესიონალ მოსამართლეთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. ირლანდიაში, მალტაში, რუსეთში, ესპანეთში, შვეიცარიასა და გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს თავმჯდომარეობს ერთი მოსამართლე. ავსტრიაში, ბელგიასა და ნორვეგიაში სასამართლო, ნაფიც მსაჯულებთან ერთად, სამი პროფესიონალი მოსამართლისგან შედგება. პროფესიონალ მოსამართლეებს არ შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთა მიერ ბრალეულობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღება, ეს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში შედის.

- (§49) მთელ რიგ ქვეყნებში, საქმის განხილვის დანყებადდე, მსაჯულებს კონკრეტული კითხვების სიას გადასცემენ. შვიდი სახელმწიფო – ავსტრია, ბელგია, ირლანდია, ნორვეგია, რუსეთი, ესპანეთი და შვეიცარია – ხსენებულ პრაქტიკას მისდევენ.
- (§50) ირლანდიაში, ინგლისსა და უელსში მტკიცებულებების შესწავლის შემდგომ, მოსამართლე მსაჯულებს საქმის საბოლოო შეჯამებულ ვარიანტს წარუდგენს. ის მათ შეახსენებს უკვე მოსმენილ მტკიცებულებებს. ამასთან, მოსამართლე კონკრეტული მტკიცებულებების სწორი კუთხით გათვალისწინების თაობაზე აძლევს დირექტივებს. ის, ასევე, აწვდის მსაჯულებს ინფორმაციასა და ახსნა-განმარტებებს სამართლებრივი ნორმების შესახებ. ამ კონტექსტში, მოსამართლე აკეთებს განმარტებებს დანაშაულის შემადგენელი ელემენტების თაობაზე და ადგენს მსჯელობის კონკრეტულ ხაზს, რომლის მიდევნებაც აუცილებელია მსაჯულთა მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე ვერდიქტის გამოსატანად.
- (§51) ნორვეგიაში მოსამართლე აკვალთანებს მსაჯულებს ყველა წამოჭრილ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით და უხსნის წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია ვერდიქტზე მსჯელობისას. სასამართლოს დასასრულს, მოსამართლის მიერ ხდება მსაჯულთათვის მტკიცებულებების შეჯამება და ის მიაპყრობს მათ ყურადღებას მტკიცებულებების მნიშვნელობაზე.
- (§52) ავსტრიაში, მსაჯულთა ვერდიქტის გამოტანა ხდება დეტალური კითხვარის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა ბრალდების ყველა ძირითად ელემენტს განმარტავს და შეიცავს შეკითხვებს, რომლებზეც უნდა გაიცეს „კი“ ან „არა“ პასუხი.
- (§53) მსაჯულები, როგორც წესი, თათბირობენ ცალკე, თავმჯდომარე მოსამართლის/მოსამართლეებისაგან დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა, მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება ბევრ ქვეყანაში მტკიცედ დადგენილ პრინციპს წარმოადგენს.

- (§54) ბელგიაში, პროფესიონალი მოსამართლე შესაძლებელია მიიწვიონ სათათბირო ოთახში კონკრეტული საკითხების განსამარტად, თუმცა მას არ აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი ბრალეულობასთან დაკავშირებით ან კენჭისყრაში მიიღოს მონაწილეობა. ნორვეგიაში მსაჯულებს შეუძლიათ გამოიძახონ სხდომის თავმჯდომარე. თუმცა, თუ მსაჯულები ჩათვლიან, რომ ისინი საჭიროებენ დამატებით განმარტებებს გასაცემ პასუხებთან დაკავშირებით, ასევე გამოსაყენებელ სამართლებრივ პრინციპებსა თუ პროცედურასთან დაკავშირებით, ან თუ ისინი მიიჩნევენ, რომ შეკითხვები უნდა შეიცვალოს ან საჭიროა ახალი შეკითხვის დასმა, ისინი უნდა დაბრუნდნენ სასამართლო დარბაზში, რომ შესაბამისი საკითხის განხილვა მხარეების თანდასწრებით გააგრძელონ.
- (§55) ჟენევის კანტონში თავმჯდომარე მოსამართლე მსაჯულთა დახმარების მიზნით თათბირში იღებს მონაწილეობას, თუმცა ბრალეულობასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია. სასამართლო მდივანი ასევე ესწრება განხილვას, რათა მიღებული გადწყვეტილებები და დასაბუთების ჩანერა აწარმოოს.
- (§56) როგორც ჩანს, „ტრადიციული“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებას არ ახდენს. ეს ეხება ყველა ქვეყანას, ესპანეთისა და შვეიცარიის გარდა (ჟენევის კანტონი).
- (§57) ესპანეთში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ხუთი ნაწილისგან შედგება. პირველი – დასადგენი ფაქტების ჩამონათვალი, მეორე, დაუდგენელი ფაქტების ჩამონათვალი, მესამე არის მსაჯულთა გადწყვეტილება დამნაშავეა თუ არა, მეოთხე – მტკიცებულებების მითითებით დასაბუთების მოკლე აღწერა, რომელსაც ეფუძნება განაჩენი და არგუმენტები იმისა, საჭიროებენ თუ არა კონკრეტული ფაქტები დადგენას. მეხუთე ნაწილი შედგება იმ ჩანაწერებისგან, რომლებშიც ასახულია ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქმის განხილვისას, მაგრამ არ ამხელენ ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს თათბირის საიდუმლოების პრინციპი.

(§58) 1991 წლამდე, ჟენევის კანტონის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი აკმაყოფილებდა დასაბუთებულობის მოთხოვნას, რადგან მსაჯულები მათ წინაშე დაყენებულ თითოეულ კონკრეტულ კითხვაზე „კი“ ან „არა“ პასუხს გასცემდნენ. თუმცა, 1991 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ფედერალურმა სასამართლომ მსგავსი პასუხები არასაკმარისად მიიჩნია და მომავალში, კანტონის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსგან უფრო დასაბუთებული განაჩენის გამოტანა მოითხოვა. 1992 წელს ჟენევის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 308-ე მუხლებში შეიტანეს შესწორებები, რომელთა თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვრათ დასაბუთების მითითება, რაც გამოტანილი ვერდიქტის თუ გადაწყვეტილების სიცხადისთვის იქნებოდა აუცილებელი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, მსაჯულებს მოეთხოვრებათ განმარტონ „ძირითადი მტკიცებულებების გათვალისწინების ან უარყოფის მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რომელთაც დაეფუძნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტის თუ სხვა გადაწყვეტილების გამოტანისას; ასევე უნდა განიმარტოს მსაჯულთა გადაწყვეტილება სასჯელსა ან სხვა ზომის დაკისრებასთან დაკავშირებით“.

(§59) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია იმ ქვეყნებში, რომლებმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ტრადიციული“ სისტემა აირჩიეს. ეს ქვეყნებია: საქართველო, ირლანდია, მალტა, ესპანეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. გასაჩივრება შეუძლებელია ავსტრიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, რუსეთსა და შვეიცარიაში (ჟენევის კანტონში). ავსტრიაში, სასამართლოში მსჯავრდებულებს მხოლოდ სასჯელის გასაჩივრება შეუძლიათ. მათ, ასევე, შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი უზენაეს სასამართლოში განაჩენის გაუქმების მოთხოვნით.

## კუპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cooper v. United Kingdom)

(§108) მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა<sup>3</sup>, რომ სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ მომსახურე პერსონალისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით განტკიცებულ ტრიბუნალის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.

(§104) სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ ტრიბუნალის „დამოუკიდებლობის“ შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი, მოვალეობის შესრულების ვადა, გარე ზეგავლენისგან დაცვის სათანადო გარანტიები და ზოგადად, თუ რამდენად დამოუკიდებლად წარმოჩნდება საქმის განმხილველი ორგანო. სასამართლო აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსახლეობის ტრიბუნალისადმი ნდობის, ხოლო სისხლის სამართლი პროცესისას, ბრალდებულის ტრიბუნალისადმი ნდობის საკითხს. ტრიბუნალის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ლეგიტიმური საფუძვლების შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღებისას, ბრალდებულის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია შეფასდეს, თუ არსებობს ბრალდებულის ეჭვების ობიექტურად გამართლების შესაძლებლობა.

სასამართლო ადგენს „მიუკერძოებლობის“ ორ ასპექტს: ტრიბუნალი უნდა იყოს სუბიექტურად თავისუფალი პირადი წანასწარი განწყობისგან ან მიკერძოებულობისგან და ობიექტური თვალსაზრისით, სათანადო გარანტიების უზრუნველყოფით უნდა გამოირიცხებოდეს ამ საკითხთან დაკავშირებით ლეგიტიმური ეჭვები. მოცემულ საქ-

<sup>3</sup> *Cooper v. United Kingdom* [GC], №48843/99, ECHR 2003

მეში განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე არ მიუთითებდა სამხედრო-საველე სასამართლოში საქმის განხილვისას მის მიმართ სუბიექტურ მიკერძოებულობაზე.

(§110) სასამართლომ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ცალსახად დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი არ გამორიცხავს სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დაკისრების შესაძლებლობას. სასამართლოს მოსაზრებით, თითოეულ საქმეში უნდა შეფასდეს: ა) შესაძლებელია თუ არა ობიექტურად გამართლდეს პირის ეჭვები სამხედრო-საველე სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობის თაობაზე, ბ) თუ არსებობს სათანადო გარანტიები მსგავსი სახის ლეგიტიმური ეჭვების გამოსარიცხად.

### **ზაროული ბელგიის წინააღმდეგ (Zarouali v. Belgium)**

მოცემულ საქმეში<sup>4</sup> განმცხადებელი დავობდა (ერთ-ერთი მოთხოვნა), რომ მისი საქმე არ განუხილავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ტრიბუნალს, რადგან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შედიოდნენ იურიდიულ სფეროში გამოუცდელი მსაჯულები, რაც მისი შეხედულებით, წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებასთან.

ადამიანის უფლებათა კომისიამ განჩინებაში აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა სხდომის თავმჯდომარე და ორი მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მას შემდეგ რაც ნაფიც მსაჯულები გამოიტანდნენ გამამტყუნებელ ვერდიქტს, სასჯელის ზომას ერთობლივად განსაზღვრავდა მოსამართლეთა კოლეგია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. კომისიამ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში „ტრიბუნალი“ არ ნიშნავს აუცილებლად საქმის განხილვას პროფესიონალი მოსამართლეებისა და იურისტების მონაწილეობით.

<sup>4</sup> Zarouali v. Belgium (dec.), №20664/92, ECHR 1994



კომისია აცხადებს, რომ საქმის განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნევრების დანიშვნისა და მათი გარე ზენოლისგან დაცვის გარანტიები. კომისია დამატებით მიუთითებს, რომ განმცხადებელი აპელირებდა ნაფიც მსაჯულთა არაპროფესიონალიზმზე, თუმცა მან ვერ წარმოადგინა კონკრეტული მტკიცებულებები, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მათ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ბელგიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა დაცვის სათანადო გარანტიებსა და ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მკაფიო წესს, რაც კომისიის შეფასებით, გამორიცხავდა მსაჯულთა მიკერძოებულობას.

კომისიამ განჩინებაში აღნიშნა, რომ სასამართლო განხილვის დაწყებამდე, მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში, კერძოდ კი, დაეყენებინათ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, ნაფიც მსაჯულის აცილების შესახებ თანაბარი რაოდენობის შუამდგომლობა. კომისია აცხადებს, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებოდათ დაედოთ ფიცი დაკისრებული მოვალეობის შესრულებამდე, ამასთან, თუ მხარე გამოთქვამდა ეჭვს ნაფიცი მსაჯულის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელი და არასაკმარისი არგუმენტების მიუხედავად, საკითხი წყდებოდა მხარის სასარგებლოდ და საქმეს განიხილავდა ნაფიც მსაჯულთა სხვა შემადგენლობა. კომისიის შეფასებით აღნიშნული მიდგომა განამტკიცებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებულობას, რის გამოც კომისიამ განმცხადებლის მოთხოვნა ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა.

## **კლიმენტიევი რუსეთის წინააღმდეგ (Klimentiev v. Russia)**

ევროპულმა სასამართლომ მოცემული საჩივარი<sup>5</sup> დაუმუშავლად ცნო. განმცხადებელი დავობდა, რომ მას უსაფუძვლოდ უთხრეს უარი, საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვაზე.

---

<sup>5</sup> Klimentiev v. Russia, №46503/99, ECHR 2006

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მოცემულ პერიოდში არ ითვალისწინებდა წარდგენილ კონკრეტულ ბრალდებაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართვის შესაძლებლობას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მნიშვნელოვანი ელემენტია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, ის არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითად ასპექტს. აქედან გამომდინარე, საქმის ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვის უფლება ვერ დაეფუძნებოდა მხოლოდ კონვენციის დებულებებს ან ადრე არსებულ კომისიის პრეცედენტულ სამართალს. რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის უფლება ეროვნული კანონმდებლობითაა გარანტირებული, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ რუსეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლი ყველას, ვისაც ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, ანიჭებდა სასამართლო პროცესის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის შესაძლებლობას მხოლოდ ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 47-ე მუხლის შესაბამისი ნაწილები იმ პერიოდისთვის ძალაში შესული არ იყო. ძალაში შესვლამდე კი გამოიყენებოდა არსებული სასამართლო პრაქტიკა. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის უფლება ყოფილიყო ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებული.

## **ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის „დასაბუთებულობა“**

ნაფიც მსაჯულთა მიერ ფუნქციების განხორციელების სხვადასხვა ფორმა არსებობს, კონკრეტულად კი, თუ როგორ უნდა შეფასდეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის „დასაბუთებულობა“ განხილულია ქვემოთ განხილულ საქმეებში

## ტაქსკეტი ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium* [GC])

(§83) სასამართლო<sup>6</sup> აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს რამოდენიმე ქვეყანას გააჩნია ნაფიც მსაჯულთა ისეთი სისტემა, რომელიც ნაკარნახევია მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონიერი სურვილით, განსაკუთრებით, ეს შეეხება ყველაზე მძიმე დანაშაულებს. სხვადასხვა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით არსებობს, თითოეული მათგანი იმ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებსა და სამართლებრივ კულტურას ასახავს; განსხვავებები შესაძლოა ეხებოდეს მსაჯულების რაოდენობას, მათ კვალიფიკაციას (გამოცდილებას), მათ დანიშვნის წესსა და ექვემდებარება თუ არა, გასაჩივრების რაიმე ფორმას მათ მიერ გამოტანილი განაჩენი. ეს არის ევროპაში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან მხოლოდ ერთი მაგალითი და სასამართლოს ამოცანა არ გახლავთ ამ სისტემების სტანდარტიზაცია. რომელიმე სახელმწიფოს მიერ არჩეული კონკრეტული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა, პრინციპში, ევროპული სასამართლოს დონეზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებს გარეთაა მოქცეული იმ შემთხვევაში, თუ არჩეული სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციაში დადგენილ პრინციპებს (იხ. საქმე აშულ საფრანგეთის წინააღმდეგ, (*Achour v. France* [GC], №67335/01, § 51, ECHR 2006-IV)). გარდა ამისა, ინდივიდუალური საჩივრების შემთხვევაში, შესაბამისი კანონმდებლობის აბსტრაქტულად გადასინჯვა სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს. ამის მაგივრად, ის შეძლებისდაგვარად მხოლოდ მის წინაშე კონკრეტული საქმეების ფარგლებში წამოჭრილი საკითხების შესწავლით უნდა შემოიფარგლოს (იხ. ნ.ს. იტალიის წინააღმდეგ (*N.C. v. Italy*, [GC], №24952/94, § 56, ECHR 2002-X)).

(§84) ამგვარად, ამ კონტექსტში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს. არჩევანის გაკეთებისას ხელმომწერი სახელმწიფოები სარგებლობენ მოქმე-

<sup>6</sup> *Taxquet v. Belgium* [GC], №926/05, ECHR 2010

დების ფართო თავისუფლებით, რათა მათი მართლმსაჯულების სისტემა მე-6 მუხლთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ. სასამართლოს ამოცანაა, საქმის კონკრეტული გარემოებების, ხასიათისა და სირთულის გათვალისწინებით, განიხილოს, თუ რამდენადაა კონვენციასთან შესაბამისობაში თითოეულ კონკრეტულ საქმეში ამა თუ იმ მეთოდით მიღწეული შედეგები. მოკლედ, **სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანად წარიმართა.**

(§90) კონვენცია არ ითხოვს მსაჯულებისგან მათი განაჩენის დასაბუთებას და მე-6 მუხლი არ ეწინააღმდეგება მსაჯულების მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას მაშინაც კი, როცა ვერდიქტი დაუსაბუთებელია. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, ბრალდებულს და რა თქმა უნდა საზოგადოებასაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაიგონ გამოტანილი განაჩენი; ეს წარმოადგენს თვითნებობისგან სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვის გარანტიას. როგორც სასამართლო ხშირად აღნიშნავს ხოლმე, კანონის უზენაესობა და თვითნებობის თავიდან აცილება წარმოადგენს კონვენციის პრინციპების საფუძველებს. სამართლებრივ სისტემაში, ეს პრინციპები მართლმსაჯულების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის გამყარებას ემსახურება, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

(§92) იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოები თავის მოვალეობას სამოქალაქო მსაჯულებთან ერთად ახორციელებენ, ნებისმიერი სახის განსაკუთრებული პროცედურების ადაპტაცია უნდა მოხდეს, მითუმეტეს მაშინ, როცა მსაჯულებს არ მოეთხოვებათ ან არ ეძლევათ უფლება წარმოადგინონ საკუთარი განაჩენის დასაბუთება. ასეთ შემთხვევაში, მე-6 მუხლი იმის შესწავლასაც მოითხოვს, თუ რამდენად საკმარისი გარანტიები არსებობს თვითნებობის რისკის თავიდან ასაცილებლად და მიეცემა თუ არა ბრალდებულს განაჩენის დასაბუთების გაგების შესაძლებლობა (იხ. ზემოთ პარ. 90). ამგვარ პროცედურულ გარანტიებს შესაძლოა წარმოადგენდნენ, მაგალითად,

სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის მიერ მსაჯულთათვის სამართლებრივ საკითხებთან ან მტკიცებულებებთან დაკავშირებით მიცემული ახსნა-განმარტებები ან მითითებები, მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დასმული ზუსტი, ცალსახა კითხვები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ მსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის დასაბუთების ჩარჩოებს და შესაბამისად, საკმარისად დააბალანსებენ იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხები არ იქნება დასაბუთებული და ბოლოს, გასათვალისწინებელია ბრალდებულის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ყველა შესაძლებლობა.

(§93) უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მოსაზრებებში, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელ განაჩენი არ იყო დასაბუთებული და რომ ის არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. მსაჯულების მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი ვერდიქტი თავისთავად არ არღვევს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება შესაბამისი სამართლებრივი სისტემის კონტექსტში სამართალწარმოების მთლიანობაში გაანალიზებისას, დასაბუთებას მოკლებული ვერდიქტის განხილვისას სასამართლოს ამოცანაა, საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაზღვროს, რამდენად შესწევს სამართალწარმოებას უნარი წინ აღუდგეს თვითნებობას და მისცეს ბრალდებულს საშუალება გაიგოს, თუ რატომ ცნეს დამნაშავედ. ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ, ყველაზე მკაცრი სასჯელების პირობებში, სამართლიანი სასამართლოს უფლების პატივისცემა დემოკრატიული საზოგადოებრიობის მხრიდან უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი.

(§98) ნაფიც მსაჯულთათვის მკაფიო კითხვების დასმა წარმოადგენდა აუცილებელ წინაპირობას იმისა, რომ მომჩივანს გაეგო მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი. გარდა ამისა, ვინაიდან საქმე ეხებოდა რამოდენიმე ბრალდებულს, კითხვები შეძლებისდაგვარად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი ყოველივე მათგან-

ნისთვის ინდივიდუალურად.

(§99) და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბელგიური სისტემა არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივარი საკასაციო სასამართლოში ეხება მხოლოდ სა-მართლის საკითხებს და შესაბამისად არ უზრუნველყოფს ბრალდებულს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის დასა-ბუთებით.

(§100) დასკვნის სახით, მომჩივანი არ უზრუნველყვეს საკმა-რისი გარანტიებით, რაც მას საშუალებას მისცემდა გაე-გო მის წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი განა-ჩენი. შესაბამისად, ვინაიდან სამართალწარმოება წარი-მართა არასამართლიანად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას.

### **შალა ნორვეგიის წინააღმდეგ (Shala v. Norway)**

(§25) განმცხადებელი დავობდა<sup>7</sup>, რომ (მას ბრალად ედებოდა დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფების წევრობა და 48 კილოგრამი ამფეტამინის იმპორტი) მისი სამართლია-ნი სასამართლოს უფლება დაირღვა, ვინაიდან ნორვეგი-ის სასამართლომ ვერ უზრუნველყო მისი მსჯავრდების-თვის საჭირო ადეკვატური საფუძვლების წარმოდგენა.

(§41) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშ-ნული საჩივარი დაუშვებლად ცნო დაუსაბუთებლობის სა-ფუძვლით. ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვე-ტილება შემდეგნაირად განმარტა: „ნორვეგიის მარ-თლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა დაცვის გარანტიებისა და მოცემულ საქმეში მათი გამოყენების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკებზე არ-ცერთი გარემოება მიაჩნებდა, ასევე, არაფერი მიუთი-თებდა იმაზე, რომ განმცხადებელმა ვერ გაიგო მისი მსჯავრდების საფუძვლები. შესაბამისად, ნაფიც მსა-

---

<sup>7</sup> Shala v. Norway,(dec.) №1195/10, ECHR 2012

ჯულების მიერ ვერდიქტში მოტივაციის მიუთითებლობა არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას<sup>8</sup>.

## რ. ბელგიის წინააღმდეგ (R v. Belgium)

მოცემულ საქმეში<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულებმა არ დაასაბუთეს მათ მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტი, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს წინასწარ დაუსვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით კითხვები და ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა გაეპროტესტებინა მოცემული კითხვები. კომისიამ მიიჩნია, რომ კონკრეტულმა კითხვებმა, რომელთა დასმა შესაძლებელი იყო ბრალდების ან დაცვის მოთხოვნის საფუძველზე, შექმნეს საქმეზე გამოტანილი განაჩენის საფუძველი და საკმარისად დააბალანსეს მსაჯულების პასუხების სიცხადე. კომისიამ განაცხადა, რომ შეკითხვები იყო დასაბუთებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საშუალება, მაგრამ აქვე განსაზღვრა აუცილებელი გარანტიები, რომლებიც სავალდებულო წესით კუმულაციურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ საბოლოოდ მიღწეული იქნეს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტი, კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად:

- შეკითხვები უნდა იყოს ნათელი;
- ორივე მხარეს უნდა შეეძლოს შეკითხვათა ინიცირება მოსამართლის წინაშე;
- შეკითხვები უნდა ეფუძნებოდეს გარემოებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ბრალდების ფორმულირებას;
- ზემოაღნიშნული გარემოებები სასამართლოს წინაშე უნდა იყოს განხილული;
- მთავარი შეკითხვები უნდა ეხებოდეს თითოეული წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობის *corpus delicti*-ს;

<sup>8</sup> R v. Belgium (dec.), №15957/90, ECHR 1992

- მთავარ შეკითხვათა გაყოფა შესაძლებელია, ოღონდ იმ პირობით, რომ არ მოხდება საკითხის ბრალდებულის საწინააღმდეგოდ ფორმულირება (შესაძლებელია ალტერნატიული შეკითხვებიც);
- თითოეული ბრალდება უნდა იყოს წარდგენილი ინდივიდუალური შეკითხვით;
- მთავარი შეკითხვები უნდა იყოს ფორმულირებული სხვა ფაქტებისაგან განცალკევებით (როგორებიცაა, მაგალითად: შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, პასუხისმგებლობის გამორიცხველი და შემსუბუქებელი გარემოებები);
- სასამართლოს წინაშე წარდგენილი შეკითხვის უარყოფის შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი დასაბუთება;
- როდესაც არსებობს ამისათვის სპეციალური მიზეზი და ზემოაღნიშნული პირობები ვერ უზრუნველყოფენ განაჩენის დასაბუთებულობას, აუცილებელი ხდება მოსამართლის მხრიდან ბრალისა და სასჯელის დამატებითი დასაბუთება<sup>9</sup>.

### **ზაროუალი ბელგიის წინააღმდეგ (Zarouali v. Belgium)**

ადამიანის უფლებათა კომისიამ განჩინებაში<sup>10</sup> საქმეზე „ზაროული ბელგიის წინააღმდეგ“ ვერდიქტის დასაბუთებულობის შეფასებისას მიუთითა რ. ბელგიის წინააღმდეგ (R v. Belgium) საქმეში ფორმულირებულ ძირითად პრინციპებზე და დამატებით განმარტა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელი რამოდენიმე გარანტია:

- როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველზე განაჩენის შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების დასაბუთება;
- სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა დამოკიდებულია სპეციალურ გარემოებებზე, მათ შორის:

<sup>9</sup> გიორგი ბურჯანაძე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს შესაბამისობა, სტატიათა კრებული, თბილისი 2011წ. 31გვ.

<sup>10</sup> Zarouali v. Belgium (dec.), №20664/92, ECHR 1994



ა) საქმის თავისებურებაზე;

ბ) საქმის კომპლექსურობაზე<sup>11</sup>.

### **პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ (Planka v. Austria)**

ევროპულმა სასამართლომ მოცემული საჩივარი<sup>12</sup> დაუშვებლად ცნო. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობამ შეზღუდა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება, კერძოდ, დაუსაბუთებლობის გამო მისი შეფასებით, მან ვერ შეძლო საქმის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალწარმოებას ახასიათებს თავისებურებები, ეროვნული კანონმდებლობა კი გასაჩივრების შესაძლებლობისთვის ადგენდა სამართლებრივ საფუძვლებს, რაც არ მოიცავდა ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის დასაბუთების აუცილებლობას. ამასთან, სასამართლოს შესფასებით აღნიშნულ ფაქტს მომჩივნისთვის ხელი არ შეუშლია გამამტყუნებელი ვერდიქტი გაესაჩივრებინა ზემდგომ სასამართლოში.

### **სარიკი დანიის წინააღმდეგ (Saric v. Denmark)**

საქმეზე სარიკი დანიის წინააღმდეგ<sup>13</sup> სასამართლომ დაასკვნა, რომ განაჩენში დასაბუთების არარსებობა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის ბრალეულობა დადგინდა ნაფიც მსაჯულთა მიერ, თავისთავად კონვენციას არ ეწინააღმდეგებოდა. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ კონვენცია არ ავალდებულებს ნაფიც მსაჯულებს მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და კონვენციის მე-6 მუხლი არ ზღუდავს ბრალდებულს, მისი საქმე განიხილოს გამოუცდელმა მსაჯულმა მაშინაც კი, როდესაც ვერდიქტი არ ითვალისწინებს ბრალდების საფუძვლებს. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტი არ

---

<sup>11</sup> გიორგი ბურჯანაძე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს შესაბამისობა, სტატიათა კრებული, თბილისი 2011წ. 32გვ.

<sup>12</sup> *Planka v. Austria* (dec.), №25852/94, ECHR 1996

<sup>13</sup> *Saric v. Denmark* (dec.), №31913/96, ECHR 1999

ენინაალმდეგებოდა კონვენციას იმისდა მიუხედავად, რომ მასში არ იყო მოცემული მსჯავრდების საფუძვლები.

### **პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Papon v. France)**

პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ განჩინებაში<sup>14</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარეს და ბრალდებულს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეპროტესტებინათ შეკითხვები და ასევე, ეთხოვათ სხდომის თავმჯდომარესთვის, მისცემოდათ შესაძლებლობა დაესვათ ერთი ან რამოდენიმე დამატებითი შეკითხვა ნაფიც მსაჯულებისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსაჯულებმა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დასმულ 768 კითხვას გასცეს პასუხი და ჩათვალა, რომ კითხვებმა განაჩინისთვის საკმარისი საფუძველი ჩამოაყალიბეს და მათმა სიზუსტემ საკმარისად დააბალანსა ის ფაქტი, რომ ნაფიცი მსაჯულთა ვერდიქტი დაუსაბუთებელი იყო. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და დაუშვებლად ცნო საჩივარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებაში არგუმენტაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით.

### **ბელერინ ლაგარეს ესპანეთის წინააღმდეგ (Bellerin Lagares v. Spain)**

მოცემულ საქმეში<sup>15</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადანყვეტილება, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა თათბირის ჩანაწერი ერთვოდა თან – შეიცავდა ფაქტების ჩამონათვალს, რომელთა არსებობაც მსაჯულებმა დადგენილად მიიჩნიეს მომჩინის დამნაშავედ ცნობისას, აგრეთვე, ამ ფაქტების სამართლებრივ ანალიზს და სასჯელის განსაზღვრის მიზნებისთვის იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომელთაც ზეგავლენა იქონიეს მომჩინის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო გადანყვეტილება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, საკმარის დასაბუთებას შეიცავდა.

---

<sup>14</sup> *Papon v. France (No. 2) (dec.)*, №54210/00, ECHR 2001

<sup>15</sup> *Bellerin Lagares v. Spain (dec.)*, №31548/02, ECHR 2003

## ნაფიც მსაჯულთა მიერ მონმეთა სანდოობის შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმის არსებით გარემოებებთან მიმართებით ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმეთა სანდოობის შეფასების საკითხზე ფართოდ იმსჯელა ქვემოთ განხილულ საქმეებში.

### პიჩუგინი რუსეთის წინააღმდეგ (Pichugin v. Russia)

მოცემულ საქმეში<sup>16</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა, იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა ჯვარედინად დაეკითხა ბრალდების მხარის მონმე. მომჩივანი სასამართლოს წინაშე დავობდა ორ საკითხთან დაკავშირებით: 1. ნაფიც მსაჯულთა ფორმირება წარმართა პროცესუალური დარღვევით. მისი განცხადებით, ნაფიც მსაჯულთა სია არ იყო წინასწარ გამოქვეყნებული, რის შედეგადაც, მისი შეფასებით, შეირჩა მიკერძოებული შემადგენლობა; 2. დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა ჯვარედინი გზით დაეკითხა ბრალდების მხარის მონმე, რის გამოც შეეზღუდა მას სამართლიანი სასამართლოს უფლება. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სიის წინასწარ გამოუქვეყნებლობა არ წარმოადგენს დარღვევას, ვინაიდან გამოქვეყნების ვალდებულება ცალსახად დადგენილი არ იყო ეროვნული კანონმდებლობით, რაც შეეხება, ბრალდების მონმის დაკითხვის შესაძლებლობის არ მიცემას, ამ ნაწილში ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, მონმეებს განემარტათ მხოლოდ პროცედურული უფლებები და არა ვალდებულებები. ისინი ინფორმირებულნი იყვნენ ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, თუმცა, მათ არ ეცნობათ ჩვენების მიცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსამართლემ დაუსაბუთებლად და

<sup>16</sup> Pichugin v. Russia, №38623/03, ECHR 2012

ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მისცა ბრალდების მხარის მოწმე შესაძლებლობა აეცილებინა მისთვის არასასურველ შეკითხვებზე პასუხები და არ დართო ნება დაცვის მხარეს ჯვარედინად დაეკითხა მოწმე.

(§178) სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ ის ფაქტი, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სია, რომლებიც მის საქმეს განიხილავდნენ, შედგენილი და დამტკიცებული იყო მოსკოვის ხელისუფლების მიერ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მისი განცხადების არის მდგომარეობა და იმაში, რომ ნაფიც მსაჯულთა სია სრულყოფილად არ გამოქვეყნდა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, რამაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არაკანონიერი გახადა. სასამართლოსთვის აღნიშნული არგუმენტი დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. უზენაესი სასამართლოს გადანაცვტილებიდან რომელმაც რუსეთის კანონმდებლობის მოქმედი დებულებების განმარტება გააკეთა, ირკვევა, რომ ნაფიც მსაჯულთა სიის ნამდვილობის წინაპირობას არ წარმოადგენს მისი წინასწარი გამოქვეყნება. სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი, რომ აღნიშნულ განმარტებას არ დაეთანხმოს. იგი შეგვახსენებს, რომ ადგილობრივი სასამართლოებისთვის უმთავრესია ეროვნული კანონმდებლობის განმარტება, იმ წესების და პროცედურების ჩათვლით, რომელიც ვრცელდება მათსავე დაწესებულებებზე და რომ მისი საზედამხედველო როლი უნდა ამოქმედდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში.

(§179) რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიას, რომ მას არ ჰქონია შესაძლებლობა შეემოწმებინა ნამდვილად იყვნენ თუ არა სიაში შეყვანილი ის ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ესწრებოდნენ მისი საქმის განხილვას. სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ოფიციალური სია არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. იგი შეგვახსენებს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინოს საკუთარი ინტერესების დაცვისათვის. მომჩივანმა სხდომის თავმჯდომარისგან მოითხოვა სიის ასლი, მაგრამ უშედეგოდ, რადგან როგორც ჩანს, აღნიშნული ორგანო არ იყო სათანადო სიის გაცემა-

ზე პასუხისმგებელი. პროკურორმა აცნობა მომჩივნის ადვოკატს, რომ აღნიშნული სიის მიღება შესაძლებელი იყო მოსკოვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან. თუმცა, არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მომჩივანმა ან მისმა დამცველმა სცადეს სიის მიღება მოსკოვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რომელიც სიის შედგენასა და დამტკიცებაზე იყო პასუხისმგებელი.

(§180) რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას, აპლიკანტი არ დავობს იმაზე, რომ მოსამართლის მიერ მათი შერჩევა კანონით გათვალისწინებული წესით მოხდა. სასამართლო შეგვახსენებს, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მხარეთა მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევაში. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს ჰქონდა უფლება კითხვები დაესვა ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისთვის რათა გამოეკლინა მიზეზები, რომლებიც შესაძლოა მისი საქმის განხილვაზე არდაშვების საფუძველი გამხდარიყო, ასევე გამოეთქვა მოტივირებული ან არამოტივირებული პროტესტი კანდიდატებისთვის ან ნაფიც მსაჯულთა მთელი შემადგენლობისთვის. განმცხადებელმა გამოიყენა აცილების უფლება იმ კანდიდატების მიმართ ვის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაშიც ეპარებოდა ეჭვი, რომელიც დაკმაყოფილდა. მას ნაფიც მსაჯულთა მთლიანი შემადგენლობის მიმართ აცილება არ გამოუყენებია.

(§181) აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ აპლიკანტის უფლება ესარგებლა „კანონით დადგენილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი“, არ დარღვეულა ნაფიც მსაჯულთა შერჩევითა და შემადგენლობით.

(§207) სასამართლომ წარსულში დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა საქმეში, სადაც მთავარი ბრალდების მონმე წარმოადგენდა პოლიციის ინფორმატორს ხანგრძლივი დროის მანძილზე და რომელმაც მნიშვნე-

ლოვანი ფულადი ჯილდო, პოლიციის მფარველობა და სისხლისსამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი მიიღო, მომჩივნის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ; აღნიშნული ინფორმაცია ბრალდების მხარემ დაცვის მხარესთან და ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასთან დამალა. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ინფორმაციის დამალვის შედეგად, დაცვის მხარემ ვერ ისარგებლა შესაძლებლობით ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით ეჭვქვეშ დაეყენებინა მთავარი მოწმის სანდოობა.

(§208) კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოავლინოს მოწმის მტრული დამოკიდებულება ან არაკეთილსაიმედოობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ გამამტყუნებელი მტკიცებულება შესაძლოა „განზრახ არასწორი ან უბრალოდ მცდარი“ იყოს და შესაბამისად, დაცვის მხარე უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რომელიც საშუალებას მისცემს ჯვარედინი დაკითხვის გზით, შეაფასოს მოწმის კეთილსაიმედოობა ან ეჭვი შეიტანოს მის სანდოობაში.

(§209) სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი კ-ს მიერ წარმოდგენილ ჩვენებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მისი სანდოობა ჯვარედინი დაკითხვის გზით შეფასებულიყო.

(§210) სასამართლო აღნიშნავს, რომ თავმჯდომარე მოსამართლემ ყველა იმ კითხვის აცილება მოახდინა, რომელიც ბატონ კ-ს ნასამართლობას შეეხებოდა. მომჩივნის მიერ გამამტყუნებელი ჩვენების არმიცემა 1999 წელს პირველი დაკითხვისას და მისი მოტივაცია მიეცა გამამტყუნებელი ჩვენება 2003 წელს, შესაძლოა, პროკურატურის ორგანოების მხრიდან ზენოლის შედეგი ყოფილიყო. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა ამოცანა იყო განესაზღვრათ როგორ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ (ან არ მიანიჭებდნენ) ბატონ კ-ს ჩვენებას მომჩივნის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ შესრულდეს აღნიშნული ამოცანა, მათ უნდა იცოდნენ ყველა შესაბამისი გარემოება, რაც გავლენას ახდენს ჩვენების სიზუსტესა და სანდოობაზე, მათ შორის ნებისმიერი სახის წახალისება,

რაც შეიძლება მიეღო ბატონ კ-ს ფაქტების არასწორად წარმოდგენის გამო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო დაცვის მხარისთვის, რომ გადაეწყვიტა ზემოაღნიშნული საკითხები ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით, რათა მათ შეეფასებინათ ბატონ კ-ს კეთილსამედობა და სანდოობა. სასამართლო გამოთქვამს შეშფოთებას სხდომის თავმჯდომარის განცხადების გამო, რომ განმცხადებლის ადვოკატს „ნება არ დართეს გამოეთქვა საკუთარი ეჭვი მონმის ჩვენებაზე“ და რომ ნაფიცი მსაჯულებისთვის „[არ იყო] საჭიროება სცოდნოდათ [ბატონ კ-ს] ჩვენების მიცემის მოტივაციის შესახებ [მომჩივნის წინააღმდეგ]“.

(§211) იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივანს ნება არ დართეს დაეკითხა ბატონი კ. იმ გარემოებებზე, რომლებსაც შეიძლება ჩრდილი მიეყენებინა მისი ჩვენების უტყუარობისთვის, (რომელიც განმცხადებლის წინააღმდეგ გადამწყვეტი მტკიცებულება აღმოჩნდა) სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის დაცვის უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

## **გოკტეპე ბელგიის წინააღმდეგ (Goktepe v. Belgium)**

(§28) მოცემულ საქმეში<sup>17</sup> ნაფიც მსაჯულთა მიერ დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ცალ-ცალკე კითხვების დასმაზე უარის გამო სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა; სასამართლომ დაასკვნა, რომ ამით შეუძლებელი გახდა განმცხადებლის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით არსებული არგუმენტები, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვა, წინააღმდეგობაში მოდიოდა შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ცნების საფუძველს წარმოადგენს.

---

<sup>17</sup> Goktepe v. Belgium, №50372/99, §28, ECHR 2005

ეს დასკვნა იყო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წინამდებარე საქმის შემთხვევაში, ვინაიდან ნაფიც მსაჯულლებს ამ საქმეში ვერდიქტის დასაბუთების შესაძლებლობა არ ჰქონდათ.

## **ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Legillon v. France)**

ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე<sup>18</sup> დარღვევა არ დაადგინა. განმცხადებელი დავობდა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ იყო დასაბუთებული, ნაფიც მსაჯულებისთვის არ იყო განმარტებული დანაშაულის ელემენტები, თუ რა წარმოადგენდა ძალადობას, მუქარას და ა.შ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვერდიქტის ფორმა ითვალისწინებდა მკაფიო შეკითხვებს, რომლებზე პასუხებიც, ასევე, იყო მკაფიო და დაცვის მხარეს აძლეოდა საშუალებას, გაეგოთ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი გარანტიები თვითნებობის გამოსარიცხად.

(§59) სასამართლო თავდაპირველ ეტაპზევე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ყველა ბრალდებული, ისევე, როგორც მომჩივანნი, უზრუნველყოფილნი არიან გარკვეული ინფორმაციით და გარანტიებით: საგამოძიებო ორგანოს ბრალდების შესახებ დადგენილება ან გადაწყვეტილება სააპელაციო საქმეზე სრულად იკითხება სასამართლოს მდივნის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესზე; ბრალდების შესახებ დადგენილება წაკითხვის შემდეგ ხდება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით მხარეთა პაექრობის საგანი, თითოეული მტკიცებულება განიხილება და ბრალდებულს დახმარებას უწევს ადვოკატი; მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილების მისაღებად გადიან მას შემდეგ, რაც საქმის ზეპირი განხილვა დასრულდება და კითხვები დაისმება. ნაფიც მსაჯულებს მოცემულ მომენტში არ აქვთ საქმის მასალებზე წვდომა; შესაბამისად, მათი გადაწყვეტილება შესაძლებელია დაფუძნებული იყოს მხოლოდ მტკიცებულებებზე, რომლე-

---

<sup>18</sup> Legillon v. France №53406/10, ECHR 2013



ბიჯ განიხილეს მხარეებმა სასამართლო პროცესის დროს; გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებები ექვემდებარება გადახედვას სააპელაციო სასამართლოს მიერ გაფართოებული შემადგენლობით.

(§60) მოცემულ საქმეზე ბრალდების შესახებ დადგენილებისა და ნაფიც მსაჯულებისათვის დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი იყო ერთადერთი ბრალდებული და სავარაუდო დანაშაული, მიუხედავად მისი სიმძიმისა, არ იყო კომპლექსური.

(§62) ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ფაქტი – ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა ბრალდებულის სასამართლოსთვის გადაცემის ბრძანების შემდეგ და ნაფიცი მსაჯულებისთვის კითხვების დასამამდე, ხაზს უსვამს იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ბრალდების შესახებ დადგენილებისგან განსხვავდებოდა. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება, რომელიც სასამართლო პროცესის შედეგად წარმოიშვა, უნდა დაეხმაროს განმცხადებელს ნაფიც მსაჯულთა დასაბუთების ნაწილის გაგებაში.

(§63) რაც შეეხება შეკითხვებს, ყველა კითხვა იყო მნიშვნელოვანი რამდენადაც, როგორც მთავრობამ აღნიშნა, მოსამართლეებსა და ნაფიც მსაჯულებს განხილვისას არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა საქმის მასალებზე და გადაწყვეტილება მიიღეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მხარეთა მტკიცებულებებზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის მიხედვით, მათ ხელთ ჰქონდათ ბრალდების შესახებ დადგენილება.

(§64) დაისვა 12 შეკითხვა, რომელიც მთლიანობაში იყო მკაფიო და განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდებასთან მიმართებით არაორაზროვანი.

(§65) განმცხადებელი დავობდა, რომ არ გაკეთებულა განსხვავება ძალადობის, იძულების ან დაშინების ელემენტებს შორის, რომელიც ძალადობრივი მოქმედების სხვადას-

ხვა ფორმას წარმოადგენს. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ფაქტორს ხელი არ შეუშლია განმცხადებლისთვის ვერდიქტის აღქმაში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო კონკრეტულად ის ფაქტი, რომ სადავო ქმედება მსხვერპლთა წინააღმდეგ ჩაიდინა სრულწლოვნობის ასაკს მიღწეულმა პირმა.

- (§66) სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ დამამძიმებელი გარემოებების შესახებ სპეციალური შეკითხვები მსხვერპლთა ასაკთან და განმცხადებლის, როგორც შთამომავლის, სტატუსთან დაკავშირებით, ნაფიც მსაჯულებს შესაძლებლობას აძლევდა კონკრეტულად განესაზღვრა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.
- (§67) დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი იყო უზრუნველყოფილი სათანადო გარანტიებით, რომლის თანახმადაც, მას შეეძლო აღექვა გამამტყუნებელი ვერდიქტი.
- (§68) დაბოლოს, სასამართლო ითვალისწინებს რეფორმას, რომელიც დაკავშირებული იყო 2011 წლის 10 აგვისტოს მიღებულ შესაბამის კანონთან. საკანონმდებლო პაკეტი სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა ახალ დებულებებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადამწყვეტილების დასაბუთების გადმოცემას „მოტივის დასაბუთების ფორმაში“, რომელიც თან უნდა დაერთოს კითხვების ფურცელს. განაჩენის გამოტანისას, კანონი მოითხოვს მოტივის დასაბუთებაში მითითებული იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა განხილვის დროს გადაისინჯება, და რომელიც დაარწმუნებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყოველი წარდგენილი ბრალდების სისწორეში. სასამართლოს აზრით, აღნიშნული რეფორმა, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად აძლიერებს გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ და დახმარებას უწევს ბრალდებულებს აღიქვან მსჯავრდების საფუძვლები. ამგვარად, იგი პასუხობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებს.

## ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ (Lhermite v. Belgium)

მოცემულ საქმეში<sup>19</sup> ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. განმცხადებელი დავობდა, რომ გადაწყვეტილებაში არ იყო მოტივაცია, თუ რა გარემოებებს დაეყრდნენ ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტის მიღებისას. მოტივაცია შედგენილი იყო სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ ნაფიც მსაჯულთა თათბირს და მოახდინეს მათი მოსაზრებების შესაბამის კონტექსტში მოქცევა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი გარანტიები თვითნებობის საწინააღმდეგოდ.

(§52) მომჩივნის მტკიცებით, ნაფიც მსაჯულებს წარედგინათ 5 შეკითხვა: პირველი ოთხი შეკითხვა შეეხებოდა ხუთი პირის მკვლელობას და წინასწარ განზრახვას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, მეხუთე შეკითხვა კი ეხებოდა განმცხადებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მომჩივნის მტკიცებით, ექსპერტთა მიერ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ერთხმად მიღებული დასკვნის მიუხედავად, ბრალდების საფუძვლების ნაკლებობამ, განაპირობა ამ საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ნაფიც მსაჯულები შემოფარგლულიყვნენ მარტივი „დიახ/არა“ პასუხებით.

(§66) სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის დასაბუთებას, ასევე, მე-6 მუხლი არ ათავისუფლებს ბრალდებულს მისი საქმე განიხილოს არაპროფესიონალმა მსაჯულებმა, თუნდაც განაჩენში მოტივაცია არ იყოს მოცემული. განაჩენში მოტივაციის არარსებობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განმცხადებლის ბრალეულობას ადგენს არაპროფესიონალი მსაჯულები, თავისთავად წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციასთან.

(§67) მიუხედავად ამისა, სამართლიანი პროცესის მოთხოვნე-

<sup>19</sup> *Lhermite v. Belgium*, no. №34238/09, 26 May 2015

ბის დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულსაც, და რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა შეეძლოთ გამოტანილი განაჩენის აღქმა; ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა თვითნებობის წინააღმდეგ. როგორც სასამართლო ხშირად აღნიშნავს, კანონის უზენაესობა და თვითნებური ძალის თავიდან აცილება წარმოადგენს პრინციპებს, რომელიც კონვენციის საფუძველია. სასამართლო სფეროში აღნიშნული პრინციპები ემსახურება საზოგადოების ნდობის განმტკიცებას ობიექტურ და გამჭვირვალე სასამართლო სისტემისადმი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია.

- (§68) სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მიმდინარე საქმეში, რომელსაც ესწრებოდნენ არაპროფესიონალი მსაჯულები, უნდა შემუშავებულიყო სპეციალური პროცედურები, რამდენადაც ნაფიცი მსაჯულებისგან, როგორც წესი არ მოითხოვება, ან დაშვებული არაა, დაასაბუთონ პირადი მოსაზრებები. აღნიშნულ ვითარებაში, მე-6 მუხლი მოითხოვს შეფასებას, თუ რამდენად საკმარისი გარანტიები არსებობდა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული თვითნებობის ნებისმიერი რისკი და ბრალდებულს შეეძლოდა განაჩენის დასაბუთების გაგება. ამგვარი პროცესუალური გარანტიები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მიცემულ მითითებებს ან სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სამართლებრივ საკითხებს ან წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მიერ დასმულ ზუსტ, არაორაზროვან კითხვებს, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას, რომელზეც დაფუძნებულია განაჩენი. აღნიშნული კი გარკვეულწილად აბალანსებს იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემულ პასუხებს არ აქვთ დასაბუთება. დაბოლოს, გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულისათვის გასაჩივრების ნებისმიერი საშუალება ხელმისაწვდომი იყოს.

- (§69) ვინაიდან სამართლიანი პროცესის მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს სამართალწარმოების მთლიანი პროცესის გათვალისწინებით მიცემული სამართლებრივი სისტემის კონკრეტულ კონტექსტში, სასამართლოს

ამოცანას დასაბუთებული განაჩენის არარსებობისას, საქმის ყველა გარემოების საფუძველზე, წარმოადგენს იმის განსაზღვრა, იძლევა თუ არა სამართალწარმოება საკმარის გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ და რამდენად შეუძლია ბრალდებულს აღიქვას მსჯავრდების საფუძველები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე მძიმე პასუხისმგებლობის ზომის შემთხვევაშიც კი, სამართლიანი პროცესის უფლების პატივისცემა დემოკრატიულ საზოგადოებაში მაქსიმალურად შესაძლებელი ხარისხით უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

(§ 75) სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმე კონკრეტულად ეხება, თუ რა საფუძველებს ემყარება ბრალდებულის მსჯავრდება და მისთვის უვადო პატიმრობის შეფარდება წინასწარი განზრახვით ხუთი ბავშვის მკვლელობისთვის. ნაფიც მსაჯულთა წინაშე შეკითხვა არ ითვალისწინებდა, თუ რა ვითარებაში და როგორ ჩაიდინა ბრალდებულმა დანაშაული – აღნიშნული გარემოებები დადგენილ იქნა და თავად ბრალდებულმა აღიარა. შეკითხვა არ ეხებოდა, ასევე, დანაშაულის კვალიფიკაციას ან სასჯელის სიმკაცრეს. მოცემულ საქმეში, ძირითად საკითხს წარმოადგენდა, თუ რამდენად შეეძლო განმცხადებელს აღიქვა გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველები და რატომ სცნო ნაფიცმა მსაჯულებმა ის დამნაშავედ, ექსპერტთა მიერ ერთხმად მიღებული დასკვნის გათვალისწინების გარეშე, რომელთა ახალი დასკვა ეროვნულ სასამართლოს წარედგინა საქმის განხილვის დასკვნით ეტაპზე.

(§76) სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის დაწყებისას ხმამაღლა იქნა წაკითხული სრულად ბრალდების შესახებ დადგენილება და დანაშაულის არსი, რომელიც საფუძველად დაედო მის ბრალდებას და მიმოხილული იქნა სასჯელის დაძმომებელი ან შემსუბუქებელი გარემოებები. საქმის განხილვა განმცხადებლის წინააღმდეგ წარიმართა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, გამოკვლეული იქნა თითოეული მტკიცებულება და დაცვის მხარეს, ადვოკატის დახმარებით, ჰქონდა მოწმეთა გამოძახებისა და ჩვენებაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა. სხდომის თავმჯდომარემ ათდღიანი განხილვის

შემდეგ, თორმეტ ნაფიც მსაჯულს ნაუკითხა შეკითხვები და მათი ასლი გადაეცა მხარეებს.

- (§78) რაც შეეხება ნაფიც მსაჯულებისთვის დასმულ ხუთ შეკითხვას, პირველ ორ შეკითხვას დადებითი, ხოლო მე-5 შეკითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა. პირველი შეკითხვა იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის, რამდენადაც ეხებოდა განმცხადებლის ბრალეულობას, მეორე შეკითხვა ეხებოდა წინასწარ განზრახვას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას და მეხუთე – ბრალდებულის გონებრივ მდგომარეობას. სხვა შეკითხვები იყო დამხმარე, უფრო მეტიც, მიზნის შეუსაბამო.
- (§79) სასამართლო აღნიშნავს უპირველესად, რომ განმცხადებლის ადვოკატს სხდომის თავმჯდომარის შეკითხვებთან დაკავშირებით საპირისპირო პოზიცია მისი შესწორების ან ახლით შეცვლის შესახებ არ დაუფიქსირებია. უფრო მეტიც, რადგან პირველი შეკითხვა ეხებოდა განმცხადებლის ბრალეულობას, მასზე დადებითი პასუხი გარდაუვლად გულისხმობდა, რომ ნაფიც მსაჯულებმა ის სცნეს პასუხისმგებელი იმ დროს ჩადენილი ქმედებებისათვის. შესაბამისად, განმცხადებელს ამ ფაქტზე აპელირებით, არ შეეძლო ედავა, რომ მისთვის უცნობი იყო ნაფიც მსაჯულთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.
- (§80) სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ გამამტყუნებელი განაჩენი შეადგინა პროფესიონალმა მოსამართლეებმა, რომლებიც არ ესწრებოდნენ განმცხადებლის ბრალეულობის დადგენასთან დაკავშირებით განხილვებს, განმცხადებლისათვის მიცემული განმარტებების მნიშვნელობასა და გავლენას თავისთავად ეჭვქვეშ არ აყენებს. სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული განმარტებები სასამართლოს განხილვის დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ გადაეცა მხარეს, სანამ მიიღებოდა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია გამამტყუნებელი განაჩენი ფორმალურად შეადგინა პროფესიონალმა მოსამართლეებმა, მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მოეპოვებინათ თორმეტივე ნაფიც მსაჯულის დასკვნები, რომლებიც იმყოფებოდნენ მათ გვერდით სასჯელის განსაზღვრის შესახებ თათ-

ბირისას და რომელთა სახელებიც ასახულ იქნა გადან-  
ყვეტილებაში. ამასთან, პროფესიონალი მოსამართლე-  
ბი ესწრებოდნენ სასამართლო განხილვის მთლიან პრო-  
ცესს და შესაბამისად, მათ შეეძლოთ დასკვნები შესაბა-  
მის კონტექსტისთვის მიესადაგებინათ.

(§84-85) მოცემულ საქმეში არ დადგინდა კონვენციის მე-6 მუხ-  
ლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა, რადგან სასამართლოს  
შეფასებით, განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო  
ყველა სათანადო გარანტიით, რომელიც შესაძლებლობას  
აძლევდა მას აღექვა გამამტყუნებელი ვერდიქტი.

## **ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმის სამარ-  
თლიანი განხილვის უფლებაზე მსჯელობისას განსაკუთრებუ-  
ლი ყურადღება დაუთმო ნაფიცი მსაჯულებისთვის სათანადო  
მითითებების მიცემის საკითხს ქვემოთ განხილულ საქმეებში.

## **ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Judge v. United Kingdom)**

მოცემული საქმე<sup>20</sup> ეხებოდა ბავშვებზე არაერთგზის სექსუა-  
ლურ ძალადობაში ბრალდებულს, რომელიც ამტკიცებდა, რომ  
დაირღვა მისი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.  
ტაქსკეტის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-  
თლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე დაყრდნობით ბ-ნ.  
ჯაჯი დავობდა, რომ შოტლანდიის ნაფიც მსაჯულთა სასამარ-  
თლომ ვერ შეძლო განაჩენის განმაპირობებელი საფუძვლების  
წარმოდგენა და ამიტომ მას არ შეეძლო განაჩენის გასაჩივრე-  
ბა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად  
დაუშვებლად ცნო მისი საჩივარი. ევროპული სასამართლოს  
შვიდმა მოსამართლემ დაადგინა შემდეგი: „შოტლანდიის სასა-  
მართლო სისტემაში არ არსებობს არცერთი ის გარემოება, რომ-  
ლის საფუძველზე დიდმა პალატამ ტაქსკეტის საქმეზე მე-6  
მუხლის დარღვევა დაადგინა. პირიქით, შოტლანდიაში, ნაფიც

---

<sup>20</sup> *Judge v. United Kingdom* (dec.), №35863/10, ECHR 2011

მსაჯულთა ვერდიქტი იზოლირებულად კი არ იწერება, არამედ მოქცეულია წესში, რომელიც მოიცავს ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიმართებას, ასევე, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის ბრალდების გაცნობას. ამასთან, შოტლანდიის კანონმდებლობა უზრუნველყოფს ზუსტი ზღვრის გაკლებას მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების როლებს შორის: მოსამართლის მოვალეობაა – უზრუნველყოს პროცესის სამართლიანად წარმართვა და ნაფიც მსაჯულებს განუმარტოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებული კანონი; ხოლო, ნაფიცი მსაჯულების მოვალეობაა – მიღებული მითითებების გათვალისწინება და ფაქტების დადგენა. გარდა ამისა, მართალია, ნაფიცი მსაჯულები „ფაქტების განმკარგველები“ არიან, მაგრამ სხდომის თავმჯდომარის მოვალეობაა – დათანხმდეს, რომ არ არსებობს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუკი ის დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბრალეულობის დასადგენად. ეს გახლავთ, ზუსტად ის საპროცესო გარანტიები, რომლებიც დიდმა პალატამ ტაქსკეტის საქმეში გაითვალისწინა. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ის იმის გამო, რომ მან მიიღო თითოეულ ბრალდებასთან მიმართებაში განმცხადებლის მტკიცებულება და ამის საფუძველზე უარყო მის მიერ წარმოდგენილი მოვლენათა განვითარების ვერსია. და ბოლოს, ტაქსკეტის საქმეში გათვალისწინებული ბელგიის კანონმდებლობის მიხედვით გასაჩივრების წესებისაგან განსხვავებით, შოტლანდიის კანონით განსაზღვრული გასაჩივრების უფლება საკმარისია იმისათვის, რომ გამოსწორდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ნებისმიერი არასწორი ვერდიქტი. სააპელაციო სასამართლოს გააჩნია საქმის გადახედვის უფლებამოსილება და შეუძლია ბათილად ცნოს ნებისმიერი ბრალდება, რომელიც წარმოადგენს არასწორად წარმართული მართლმსაჯულების შედეგს. კერძოდ კი, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს ნაფიც მსაჯულთა ნებისმიერი ვერდიქტი, რომელიც ლოგიკურად არათანმიმდევრული ან არარაციონალურია. აქედან გამომდინარე, ტაქსკეტის საქმისაგან განსხვავებით, განმცხადებლის მიმართ საკმარისი გარანტიები არსებობდა იმისათვის, რომ მას გაეგო დამნაშავედ ცნობის საფუძველი და მიკერძოების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ დასაბუთების წარმო-



უდგენლობით არასამართლიანად არ განხორციელებულა მართლმსაჯულება. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარის წინამდებარე ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს ამკარა დაუსაბუთებლობის გამო“.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შოტლანდიის ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ სტრუქტურირებული დაუსაბუთებელი ვერდიქტი იძლეოდა საკმარის შესაძლებლობას ბრალდებულს გაეგო მის მიმართ გამოტანილი განაჩენი. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შოტლანდიის კანონმდებლობით მინიჭებული გასაჩივრების უფლება უკანონო ვერდიქტის გამოსწორების საშუალებას წარმოადგენდა.

### **სზუპუსზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (SZUPUSZ v. THE UNITED KINGDOM)**

მოცემულ საქმეში<sup>21</sup> ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ნაფიცი მსაჯულებს მკაფიო მითითება ჰქონდათ მიცემული არაფერი ეკითხათ ვიდუოფირის ჩვენებისას, პოლიციის ოფიცერისათვის, რომელიც საქმეზე, ასევე, იყო მონაწილე. კერძოდ, განმცხადებლის მტკიცებით, ნაფიცი მსაჯულები გარკვეული პერიოდი მარტო იმყოფებოდნენ პოლიციის ოფიცერთან ერთად ოთახში, რომელსაც უნდა ეჩვენებინა მათთვის ვიდუო ფირზე ასახული მტკიცებულება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ნაფიცი მსაჯულთა ვერდიქტზე ამ ფაქტს გავლენა არ მოუხდენია, რადგან სხდომის თავმჯდომარემ ნაფიცი მსაჯულებს მკაფიოდ განუმარტა, რომ პოლიციის ოფიცერი ოთახში ტექნიკური დახმარებისთვის იმყოფებოდა და მისთვის შეეძლოთ მხოლოდ ეთხოვათ ტექნიკური საკითხი, მაგალითად, ვიდუოს გადახვევა, ხოლო სხვა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია დაუშვებელი იყო. ამასთან, ვიდუო ფირის განმეორებით ჩვენების სურვილი გამოთქვეს ნაფიცმა მსაჯულებმა სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ და ამ თხოვნის შესრულებაზე პროტესტი ბრალდებულის ადვოკატს არ ჰქონდა გამოთქმული.

(§82) მომჩივნის მღელვარება წინამდებარე საქმეში დაკავში-

<sup>21</sup> Szupusz v. The United Kingdom, №8400/07, ECHR 2010

რებულია ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე სავარაუდო ზეგავლენის მოხდენის ფაქტთან, რომელიც გამონვეულია ოფიცერ მ.-ს თითქმის ორსაათიანი ყოფნით ნაფიც მსაჯულებთან პირისპირ, მას შემდეგ, რაც ისინი საქმის განსახილველად გავიდნენ. მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტობრივი როლი ეკისრებოდა ოფიცერ მ.-ს აღნიშნულ საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისმა, როგორც პოლიციის ოფიცრის პოზიციამ და მისმა შედეგობრივმა კავშირმა ბრალდების მხარესთან, შეიძლება საფუძველი დაუდოს გასაგებ მღელვარებას ბრალდებულის მხრიდან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასამართლოსთვის აუცილებელი არ არის განიხილოს ნაფიც მსაჯულთა კომუნიკაცია ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის არანეერ პირთან, რომელიც არ იყო დაკავშირებული ბრალდების მხარესთან, მაგრამ სასამართლომ გამოთქვა ეჭვი, რომ უნდობლობა შეიძლება ავტომატურად წარმოშობილიყო ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წევრები აღარ იქნებოდნენ იზოლირებულნი სასამართლო პროცესის განმავლობაში და ყოველდღიურად ურთიერთობა ექნებოდათ მრავალ ადამიანთან.

(§84) წინამდებარე საქმეში, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის წევრად შერჩევისას, თითოეულ ნაფიც მსაჯულს მოეთხოვება დადოს ფიცი ან დაწეროს ხელწერილი და ამგვარად, სამართლიანად განიხილოს ბრალდებულის საქმე და გამოიტანოს სამართლიანი ვერდიქტი სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულებს უნდა მიეცეთ ზოგადი მითითება სასამართლო განხილვის დასაწყისში და თუ შესაძლებელია სასამართლო პროცესის მსვლელობის პერიოდშიც, რომ არ შეიძლება საქმის განხილვა არავისთან, გარდა ნაფიცი მსაჯულებისა. სასამართლოს აზრით, აღნიშნული წარმოდგენს მნიშვნელოვან გარანტიას ნებისმიერი საფუძვლიანი ეჭვის გასაფანტად ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოსაც წინა პლანზე აქვს წამოწეული.

(§85) მეორე, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვიტეს CCTV-დან ამოღებული ვიდეომასალის ნახვა სასამართლოს დარბაზში ოფიცერ მ.-ს დახმარებით, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს მკაფიო მითითება მისცა. მან ნაფიც მსაჯულებს ნათლად განუმარტა, რომ ოფიცერ მ.-ს ერთადერთი მოვალეობა იყო ვიდეო აპარატურის მუშაობაზე ტექნიკური კონტროლი და მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია იყო აკრძალული, გარდა თხოვნისა, რომელიც შეეხებოდა ფირზე ასახული კადრების გაშვებას. მოსამართლემ შემდეგ მითითება მისცა ნაფიც მსაჯულებს, რომ ერთმანეთთან მხოლოდ იმის განხილვა იყო დასაშვები, თუ რისი ნახვა სურდათ, საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი განხილვა ნაფიც მსაჯულთა ოთახში უნდა განხორციელებულიყო. სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითების მიზანი იყო, ნაფიცი მსაჯულებისთვის ნათელი გამხდარიყო ოფიცერ მ.-ს წმინდა ტექნიკური როლი, რომ დაუშვებელი იყო მასთან დისკუსიაში ჩართვა. საქმის გარემოებებში არ იკვეთებოდა არცერთი ისეთი ფაქტორი, რის გამოც შეიძლებოდა სასამართლოს მიეჩნია, რომ ნაფიცი მსაჯულები არ გაითვალისწინებდნენ სხდომის თავმჯდომარის მითითებებს.

(§86) მესამე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულებს სასამართლო პროცესის დაწყებამდე განუმარტეს, რომ მათ შეეძლოთ მიემართათ სხდომის თავმჯდომარისათვის იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ეჭვი შეექმნებოდათ სხვა ნაფიც მსაჯულთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეში CCTV-დან ამოღებული ვიდეომასალის ნახვის შემდეგ, არც ერთ ნაფიც მსაჯულს არ გაუგზავნია რაიმე სახის შეტყობინება სხდომის თავმჯდომარისათვის, რომელშიც გამოხატული იქნებოდა შიში კონკრეტული ნაფიცი მსაჯულის მიკერძოებასთან დაკავშირებით.

(§87) მეოთხე, ნათელი იყო, რომ ოფიცერ მ.-ს მოვალეობა ნაფიც მსაჯულთა მითითებების მიხედვით ვიდეომასალის ჩვენებით შემოიფარგლებოდა. მას საკუთარი სურვილით არ უხელმძღვანელია ნაფიც მსაჯულთათვის ვიდეომასალის შესაბამისი ნაწილის ჩვენებისას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ოფიცერ მ.-ს წინადა-

დებას, ეჩვენებინა მის მიერ შერჩეული კონკრეტული კადრები, შეიძლება უნებურად მოჰყოლოდა ნაფიც მსაჯულთა მიერ მტკიცებულების არაერთგვაროვანი აღქმა.

(§88) მეხუთე, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სხდომის თავმჯდომარემ ვიდეომასალის ჩვენებასთან დაკავშირებით კონსულტაცია გაიარა ადვოკატებთან. ბრალდებულის ორი ადვოკატი მას პირდაპირ დაეთანხმა, ხოლო განმცხადებლის უმცროს ადვოკატს ამ საკითხზე პროტესტი არ გამოუთქვამს. როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, არ არსებობდა არავითარი ეჭვი იმის შესახებ, რომ ყველა ადვოკატი ეთანხმებოდა ნაფიც მსაჯულებისთვის ვიდეომასალის ჩვენებას დასწრებოდა პოლიციის ოფიცერი. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეთანხმება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ საკითხის განხილვისას, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით წარმოიშევა შიში, რამდენად იყო იგი კანონიერი და ობიექტურად გამართლებული.

## **გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (GREGORY v. THE UNITED KINGDOM)**

მოცემულ საქმეში<sup>22</sup> ევროპულმა სასამართლო დარღვევა არ დაადგინა იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ სხდომის თავმჯდომარემ მკაფიო მითითება მისცა ნაფიც მსაჯულებს არ დაეშვათ ბრალდებულის დისკრიმინაცია რასისტული ნიშნით. კერძოდ, განმცხადებელი დავობდა შემდეგ ფაქტს: სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა ბარათით მოსამართლეს შეატყობინა, რომ თათბირისას შეინიშნებოდა რასისტული მიდგომა ერთ-ერთი ნევრისგან და მას ამის გამო ბოდიში ჰქონდა მოსახდელი. ბარათის მიღების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა სასამართლო დარბაზში გაიწვია და მათ მისცა მკაფიო მითითება, ვერდიქტის მიღებისას ეხემძღვანელათ სალი გონებით და არ დაეშვათ ბრალდებულის რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია. სასამართლომ მო-

<sup>22</sup> Gregory v. The United Kingdom, №22299/93, ECHR 1997

ცემულ საქმეზე დარღვევა არ დაადგინა სწორედ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს მკაფიო მითითება, ამასთან, ბარათი იყო ბუნდოვანი შინაარსის და ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს.

(§47) სხდომის თავმჯდომარემ გადანყვიტა აღნიშნული განცხადებისთვის (ერთ-ერთი წევრის რასისტულ შეხედულებებთან დაკავშირებით) პასუხი გაეცა ნაფიცი მსაჯულებისათვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მითითებების მიცემით, მას შემდეგ რაც ორივე მხარისგან მოისმინა მოსაზრებები. მოსამართლის განმარტება იყო მკაფიო, დეტალური და დამაჯერებელი. მას სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ყველასთვის გასაგები იყო მისი სიტყვები, რის გამოც სხდომის თავმჯდომარე მითითების მიცემის პროცესში შეგნებულად აკეთებდა პაუზას. მისი მიზანი იყო, ნაფიც მსაჯულებს გაეთავისებინათ, რომ მათი ფიცის ქვეშ ნაკისრი ვალდებულება იყო საქმე განეხილათ მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და რომ მათ უფლება არ ჰქონდათ, ვერდიქტზე სხვა რაიმე ფაქტორს მოეხდინა ზეგავლენა.

აღსანიშნავია, რომ სხდომის თავმჯდომარეს თავის მითითებაში არც ერთხელ უხსენებია სიტყვები „რასობრივი შეხედულებები“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მან ნაფიც მსაჯულებს მითითება მისცა, გონებიდან განეგდოთ „ნებისმიერი შეხედულება რაიმე ფორმით“. ამ სიტყვების მნიშვნელობა ნათელი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ნაფიცი მსაჯულისთვის, რომელთა ქცევამაც, განაპირობა დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ მითითების გაკეთება. საგულისხმოა, რომ შემდგომში არც ერთი რასობრივი ხასიათის კომენტარი არ გაკეთებულა. შესაბამისად, მოსამართლეს შეეძლო გონივრული დასკვნა გაეკეთებინა, რომ ნაფიცი მსაჯულები დაემორჩილნენ მის მიერ მიცემული მითითებების პირობებს და რაიმე ხასიათის შეხედულებების რისკი ეფექტურად განეიტრალდა.

(§48) სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასებას მივყავართ დასკვნამდე, რომ წინამდებარე საქმეში აღარ გახდა საჭირო კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, მოსამართლის

გარდა სხვასაც გაეფანტა ობიექტური შიში ან მოსაზრება ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებლობის შესახებ, სამართლიანი პროცესის გარანტიები, შესაძლოა, გარკვეულ გარემოებებში მოითხოვდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნას, მაგრამ ასევე უნდა ვალიართ, რომ აღნიშნული ყოველთვის არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას. აღნიშნულ ვითარებაში, სხვა სახის გარანტიები, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა მისამართით მკაფიოდ ჩამოყალიბებული მითითებები, საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს.

(§49) სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსახილველი ფაქტები უნდა განვასხვაოთ იმ ფაქტებისგან, რომელიც ჩამოყალიბებული იყო საქმეში რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Remli v. France*), რომელშიც დარღვევა დადგინდა. ამ საქმეში მოსამართლეებმა არ მოახდინეს სათანადო რეაგირება, მიუხედავად იმისა, რომ ნაფიცი მსაჯულის ვინაობა, რომელიც რასისტულ შეხედულებებში შეიმჩნეოდა, ცნობილი იყო. აღნიშნულისგან განსხვავებით, მოცემულ საქმეში სხდომის თავმჯდომარე დაუპირისპირდა ნაფიცი მსაჯულის რასისტულ განცხადებას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანი და ორაზროვანია, არ შეიძლება ჩაითვალოს არსს მოკლებულად. ამგვარ ვითარებაში მან მიიღო საკმარისი ზომები, შეემონებინა სასამართლო შექმნილი იყო თუ არა, როგორც მიუკერძოებელი ტრიბუნალი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად და მან წარმოადგინა საკმარისი გარანტიები ამ კუთხით ყველა ეჭვის გასაფანტად.

## **სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sander v. The United Kingdom*)**

მოცემულ საქმეში<sup>23</sup> ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შეინიშნებოდა რასისტული შეხედულებები, ხოლო მიცემული მითითება ვერ უზრუნველყოფდა ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობას. კერძოდ, განმცხადებელი გამოთქვამ-

<sup>23</sup> *Sander v. The United Kingdom*, №34129/96, ECHR 2000

და ეჭვს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, შემდეგი ფაქტის გამო: ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარეს ბარათით შეატყობინა, რომ კონკრეტული ნაფიცი მსაჯული აფიქსირებდა რასისტულ შეხედულებებს. ეს ფაქტი გარკვეულწილად დაადასტურა ნაფიცმა მსაჯულმა, რომელიც შეიმჩნეოდა რასისტულ რეპლიკებში. წარდგენილი ბარათის გასაქარწყებლად ნაფიცი მსაჯულების მთლიანმა შემადგენლობამ ახალი ბარათი წარუდგინა სხდომის თავმჯდომარეს, რომელშიც ყველა წევრი (მათ შორის თავდაპირველი ბარათის მიმწერი ნაფიცი მსაჯულიც) უარყოფდა რასისტული შეხედულებების ქონას. სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს მითითება მისცა, ვერდიქტის მიღებისას ობიექტურნი ყოფილიყვნენ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითება ვერ უზრუნველყოფდა სამართლიან ვერდიქტს, რადგან ერთ ღამეში ნაფიცი მსაჯულები მითითების მიუხედავად ვერ შეძლენდნენ უკუეგოთ რასისტული შეხედულებები. გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gregory v. The United Kingdom*) საქმისგან განსხვავებით, მოცემულ საქმეზე დარღვევის დადგენა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: ბარათი იყო მკაფიო, რასისტული შეხედულების მქონე ნაფიცი მსაჯულის ვინაობა ცნობილი იყო, ეჭვს იწვევდა განმეორებითი ბარათის კონტექსტიც, რომელიც სრულიად საპირისპირო იყო და ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებულობაზე პრეტენზია არაერთხელ ჰქონდა დაფიქსირებული ბრალდებულის ადვოკატს.

(§30) მიმდინარე საქმეში სასამართლო მზად არ არის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ნაფიც მსაჯულთა მისამართით მოსამართლის მიერ გაკეთებულ მითითებებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში, ზოგადად, საყვედური ან მითითება მოსამართლის მიერ, თუმცა კი მკაფიო, დეტალური და დამაჯერებელი იყო, მაგრამ არ იყო საკმარისი ნაფიც მსაჯულებს ერთ ღამეში შეეცვალათ რასისტული შეხედულებები. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში ვერ ვივარაუდებთ ამგვარი შეხედულებები კონკრეტულად ერთ ნაფიც მსაჯულს ჰქონდა თუ მეტს, ირკვევა, რომ სულ მცირე ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა მაინც გააკეთა რასისტული კომენტარი. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ

მოსამართლის მიერ მიცემული მითითება ნაფიცი მსაჯულებისათვის ვერ გაფანტავდა გონივრულ ეჭვს და შიშს მიკერძოებლობის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა თავდაპირველ ბარათს.

(§31) რაც შეეხება დანარჩენს, სასამართლო მზად არის ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ფაქტს, რომ მოსამართლეს პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულებთან. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ ეროვული კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე ვერ დაკითხავდა ნაფიც მსაჯულებს იმ ბრალდებებთან მიმართებაში, რომელსაც ბარათი შეიცავდა.

(§32) სასამართლო, აქედან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ბრალდებებს, რომელსაც ბარათი შეიცავდა, შეეძლო გამოენვია განმცხადებლის და სხვა ნებისმიერი დამკვირვებლის თვალში ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ვერც ჯგუფური ბრათის წარდგენამ და ვერც მოსამართლის მიერ მითითების მიცემამ ვერ გაიფანტა.

(§33) ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები შეიძლება განვასხვაოთ საქმისგან გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gregory v. The United Kingdom*), რომელშიც დარღვევა არ დადგინდა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ საქმეში არცერთ ნაფიც მსაჯულს არ უღიარებია რასისტული ხასიათის კომენტარების ხუმრობით ან სხვაგვარი ფორმით გაკეთების ფაქტი. ბარათში კონკრეტულად არ იყო მითითებული, რომელმა ნაფიცმა მსაჯულმა განაცხადა აღნიშნულის შესახებ და პრეტენზია იყო ბუნდოვანი და არაზუსტი. გარდა ამისა, გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში განმცხადებლის ადვოკატი მთელი პროცესის განმავლობაში დაჟინებით ითხოვდა, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა ერთადერთი შესაძლო გამოსავალი იქნებოდა მიკერძოებულობასთან დაკავშირებული ეჭვების გასაფანტად.

(§34) სასამართლო მიიჩნევს, ნაფიც მსაჯულთა დათხოვნა ყო-



ველთვის არ არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის საშუალება, მაგრამ არსებობს გარკვეული გარემოებები, რა დროსაც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი. წინამდებარე საქმეში მოსამართლე სერიოზული ბრალდებების პირისპირ აღმოჩნდა, რომ არსებობდა საფრთხე, ნაფიც მსაჯულებს განმცხადებლისათვის სასჯელი დაეკისრებინათ მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო. გარდა ამისა, ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა ირიბად აღიარა, რომ მან გააკეთა რასისტული კომენტარი. ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რასიზმთან ბრძოლას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უფრო ადეკვატური რეაგირება უნდა მოეხდინა, ვიდრე უბრალოდ ბუნდოვნად თავი დაერწმუნებინა, რომ ნაფიც მსაჯულებს მითითების გათვალისწინებით შეეძლოთ უკუეგდოთ რასისტული შეხედულებები და განეხილათ საქმე მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო, მოსამართლემ ვერ უზრუნველყო საკმარისი გარანტია, რომ გამოერიცხა ნებისმიერი ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო, რომელმაც სასჯელი დააკისრა განმცხადებელს არ იყო მიუკერძოებელი ობიექტური თვალსაზრისით.

## **პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pullar v. The United Kingdom)**

მოცემულ საქმეში<sup>24</sup> ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს მკაფიო მითითება, ვერდიქტი გამოეტანათ ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით, მიუკერძოებლად შეეფასებინათ ყველა მონმის სანდოობა, რომელიც კი მათ წინაშე გამოვიდოდა. განმცხადებელი დავობდა, რომ ბრალდების მონმე იყო ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის თანამშრომელი, ისინი ერთ კომპანიაში მუშაობდნენ და განმცხადებლის შეხედულებ-

<sup>24</sup> Pullar v. The United Kingdom, №22399/93, ECHR 1996

ბით, არსებობდა რისკი, რომ ნაფიცი მსაჯულის მონმის ჩვენებას სხვაგვარად აღიქვამდა, მეტად დამაჯერებლად პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე. ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა შემდეგი საფუძვლით: მიუხედავად იმისა, რომ მონმე და ნაფიცი მსაჯული ფორმალურად ერთ კომპანიაში მუშაობდნენ, მათ ყოველდღიური საქმიანი შემხებლობა არ ჰქონდათ, ამასთან, სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს მკაფიოდ განუმარტა, რომ თითოეული მონმის ჩვენების სანდოობა თანაბრად უნდა შეეფასებინათ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებთან ერთად.

(§30) სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, ჩამოყალიბებულია მიუკერძოებლობის მოთხოვნის ორი ასპექტი. პირველი, სასამართლო უნდა იყოს სუბიექტურად მიუკერძოებელი, ე.ი. სასამართლოს არც ერთი წევრს არ უნდა ჰქონდეს რაიმე პირადი მიკერძოებული აზრი ან ტენდენცია. პიროვნული მიუკერძოებლობა მოიაზრება მანამ, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება. მეორე, სასამართლო ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა გვთავაზობდეს საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით.

(§31) პირველ ასპექტთან დაკავშირებით, განმცხადებელმა აღიარა, რომ არ არსებობდა მიკერძოებულობის დამადასტურებელი რაიმე ხელმისაწვდომი მტკიცებულება ნაფიცი მსაჯულის, ბ-ნი ფორსაიტის მხრიდან. თუმცა, მან სთხოვა სასამართლოს უგულებელეყო სუბიექტური მიუკერძოებლობის მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით 1980 წელს მიღებული მართლმსაჯულების რეფორმის აქტის საფუძველზე. განმცხადებლის მტკიცებით, აღნიშნული აქტი კრძალავს ნებისმიერ გამოძიებას იმ გარემოებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში და ასევე, ითვალისწინებს ფაქტს, რომ გაერთიანებულ სამეფოში ნაფიცი მსაჯულები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ნაფიცი მსაჯულები, არ იძლევიან საკუთარი განაჩენის დასაბუთებას შესაძლებლობას.

აღნიშნულის შედეგად, არ არსებობდა რაიმე რეალური ან სამართლებრივი საშუალება, რომელიც საშუალებას მისცემდა განმცხადებელს წარმოედგინა რაიმე მტკიცებულება ამ მოსაზრების უარსაყოფად.

(§32) სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრდა, რომ სასამართლო უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პიროვნული ტენდენციურობისაგან ან მიკერძოებისაგან თავისუფალი, რაც წარმოადგენს კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან ელემენტს. კერძოდ, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემდგომი სასამართლო არ აუქმებს მას დარღვევის ან უსამართლობის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს სასამართლოს ყველა ფორმაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩათვლით. თუმცა ზოგიერთ საქმეში, და გარკვეულწილად წინამდებარე საქმეშიც, შესაძლოა რთული იყოს მტკიცებულების მოპოვება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ მოსაზრების უარყოფა. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა უზრუნველყოფს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას.

(§33) რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, განმცხადებლის მტკიცებით, გარემოებები, რომელიც მის საქმეში ბ-ნ ფორსაიტის ნაფიც მსაჯულად არჩევას ახლდა, ობიექტური დამკვირვებლის თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვს გამოიწვევდა. აღნიშნული მტკიცების გასამყარებლად მან მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ბ-ნ ფორსაიტი და ბ-ნ მაკლარენი საკმაოდ შენუხებულნი იყვნენ, რომ მათ ურთიერთობაზე შერიფ კლერკს ყურადღება არ მიექცია. ასევე, უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ აღნიშნული კავშირის შესახებ შერიფისთვის ცნობილი რომ გამხდარიყო სასამართლო პროცესის მსვლელობისას, ბ-ნ ფორსაიტი შესაძლოა დაეთხოვათ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან. ამგვარად, დაცვის მხარემ ვერ ისარგებლა უფლებით გაეპროტესტებინა ბ-ნ ფორსაიტის მონაწილეობა შერიფი კლერკისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით. აქე-

დან გამომდინარე, საფუძვლიანი იყო ვარაუდი, რომ ბ-ნ ფორსაიტს ბ-ნ მაკლარენის ნდობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ჰქონდა აზრი სასამართლო პროცესამდე, რაც გამოწვეული იყო მისი და მაკლარენის ერთსა და იმავე ფირმაში მუშაობით. ამასთან ერთად, ბ-ნ მაკლარენმა თავის განცხადებაში დაამონმა, რომ ბრალდებები ბ-ნ პულარის წინააღმდეგ „ოფისში საუბრის თემა უნდა ყოფილიყო“.

(§34) კომისია ასევე ემხრობოდა აზრს, რომ არსებობდა დასაბუთებული საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლო იყო სასამართლოს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანა. მან მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ბ-ნ ფორსაიტი შესაძლოა გაეთავისუფლებინათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდან, თუ შერიფისთვის ცნობილი იქნებოდა ბ-ნ მაკლარენისა და მისი კავშირის შესახებ. სასამართლო ასევე დაეთანხმა განმცხადებელს, რომ ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა ევარაუდა, რომ ბ-ნ ფორსაიტს უფრო მეტი აკავშირებდა ბ-ნ მაკლარენთან, ვიდრე შემთხვევითი ნაცნობობა, რადგან იგი იმავე პატარა ფირმაში მუშაობდა ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე, სადაც ბ-ნ მაკლარენი. თუმცა ბ-ნ ფორსაიტი იმ თხუთმეტ ნაფიც მსაჯულთაგან ერთადერთი იყო, ვის ზეგავლენასაც შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, და მას შეეძლო შერიფი კლერკის უმოქმედობა მიეღო, როგორც ტაქტიკური ნებართვა დაყრდნობადა წარსულ ნაცნობობას.

(§35) მთავრობის განცხადებით, ბ-ნი ფორსაიტი იმავე ფირმაში მუშაობის ფაქტი, სადაც მუშაობდა ბ-ნი მაკლარენი, თავისთავად არ იყო საკმარისი საფუძველი ლეგიტიმური ეჭვის გასაჩენად სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელი იყო, რომ ბ-ნი ფორსაიტი იკავებდა დაბალ თანამდებობას ფირმაში, არ მუშაობდა აღნიშნულ პროექტზე და, როგორც მან განუცხადა შერიფ კლერკს, პირადად არ იცნობდა ორ ბრალდებულს და არ იცოდა საქმის გარემოებების შესახებ. გარდა ამისა, ბ-ნი ფორსაიტი თხუთმეტიდან მხოლოდ ერთი ნაფიცი მსაჯული იყო. თითოეულ ნაფიც მსაჯულს ფიცი

ჰქონდა დადებული, რომ ვერდიქტი გამოეტანა სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად. სასამართლო პროცესის დამთავრებისას შერიფმა ნათლად განუმარტა ნაფიც მსაჯულებს, რომ ვერდიქტი დაეფუძნებინათ მოსმენილ მტკიცებულებებზე, და რომ მტკიცებულებები ორი ან მეტი წყაროდან უნდა მიუთითებდეს გონივრულ ეჭვს მიღმა პირის ბრალეულობაზე სანამ გამამტყუნებელი ვერდიქტი იქნებოდა მიღებული. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბ-ნმა ფორსაიტმა ან სხვა რომელიმე ნაფიცმა მსაჯულმა უგულებელყო დადებული ფიცი ან შერიფის მითითებები.

(§36) სასამართლოს აზრით, გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენდა, როგორც იუსტიციის უმაღლესმა სასამართლომაც აღნიშნა, რომ შერიფი სავარაუდოდ დაითხოვდა ბ-ნ ფორსაიტს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან, ბ-ნი ფორსაიტის და ბ-ნი მაკლარენის საქმიანი ურთიერთობის შესახებ რომ სცოდნოდა. ბუნებრივია, სხდომის თავმჯდომარე უნდა ისწრაფვოდეს, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა იმგვარად იყოს ფორმირებული, რომ გამორიცხავდეს მიკერძოებულობასთან დაკავშირებულ ეჭვებს, ყოველთვის როცა ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, სასამართლო პროცესამდეც ან მისი მსვლელობის პერიოდში. თუმცა, რადგან სასამართლო დამთავრდა და ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი გამოიტანეს, არსებითად შესაფასებელი გახდა, ბ-ნი ფორსაიტის მუდმივად ყოფნა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში რამდენად მძიმე დარღვევას წარმოადგენდა და იძლეოდა ვერდიქტის გაუქმების საფუძველს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ეს ხარვეზი, რომელმაც საფუძველი დაუდო ლეგიტიმურ ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, გამონწვეული იყო თუ არა მისი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ყოფნით.

(§37) აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბ-ნი პულარის ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ერთი წევრი, ბ-ნი ფორსაიტი დასაქმებუ-

ლი იყო იმავე ფორმაში, რომელშიც ბრალდების მონმე, ბ-ნ მაკლარენი პარტნიორი იყო. გასაგებია, რომ ამგვარ კავშირს შესაძლოა, ბრალდებულში გამოენვია გარკვეული მღელვარება. თუმცა, მხოლოდ ბრალდებულის მოსაზრებას სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, შესაძლებელია თუ არა ეს საფრთხე ობიექტურად იქნეს გამართლებული.

(§38) მიუკერძოებლობის პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის განსამტკიცებლად საჭირო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. თუმცა, იგი აუცილებელი არაა გამომდინარეობდეს ფაქტიდან, რომ სასამართლოს წევრი პირადად იცნობს საქმის ერთ-ერთ მონმეს და მას ჩამოყალიბებული აქვს აზრი ამ პირის ჩვენების სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია თითოეულ საქმეში შეფასდეს, აღნიშნული ნაცნობობა არის თუ არა იმ ხასიათის და ხარისხის, რომელიც მიუთითებს მიკერძოებულობაზე.

(§39) წინამდებარე საქმეში, ბ-ნი ფორსაიტი დაბალი რანგის თანამშრომელი იყო ბ-ნ მაკლარენის ფორმაში, არ მუშაობდა პროექტზე, რომელმაც საფუძველი დაუდო ბ-ნ პულარის წინააღმდეგ ბრალდებას და სამსახურიდან გათავისუფლების შეტყობინება გადაეცა სასამართლო პროცესის დაწყებამდე სამი დღით ადრე. აღნიშნული ფაქტებიდან ძნელია იმის გარკვევა, საქმის ობიექტური დამკვირვებელი დაასკვნიდა თუ არა, რომ ბ-ნი ფორსაიტი ბ-ნი მაკლარენის აზრისაკენ იხრებოდა თუ დაცვის მხარის მონმისაკენ.

(§40) ამასთან, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ სასამართლომ ბრალდებულს შესთავაზა არაერთი მნიშვნელოვანი გარანტია. საყურადღებოა, რომ ბ-ნი ფორსაიტი იყო ერთ-ერთი თხუთმეტ ნაფიც მსაჯულთაგან, რომელიც შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით ადგილობრივი მოსახლეობიდან. ასევე, აღსანიშნავია, რომ შერიფმა ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მიუკერძოებლად შეეფასებინათ ყველა მონმის სანდოობა, რომლებიც მათ წინაშე წარსდგე-

ბოდნენ და რომ ყველა ნაფიცმა მსაჯულმა დადო თანაბარი ძალის მქონე ფიცი.

(§41) აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნ პულარის ვარაუდი იმ სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც მის საქმეს განიხილავდა, არ არის ობიექტურად გამართლებული. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი.

### **მიშა ელიას გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Misha Elias v. The United Kingdom)**

ევროპულმა სასამართლომ მოცემული საჩივარი<sup>25</sup> დაუშვებლად ცნო. მომჩივანი დავობდა, რომ ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულთა წინაშე დააფიქსირა დისკრიმინაციული შეხედულებები, რასაც მისი ვარაუდით, შეიძლება გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულებზე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დისკრიმინაციული შეხედულებები დააფიქსირა, არა ნაფიცმა მსაჯულმა ან მოსამართლემ, არამედ ბრალდების მხარემ, რომელმაც მოგვიანებით ნაფიც მსაჯულთა წინაშე ბოდიშში მოიხადა თავისი დისკრიმინაციული შეხედულებების გამო და ასევე, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა ამ ფაქტზე საპასუხო რეპლიკა გაეკეთებინა.

წინამდებარე საქმეში სადავო სიტყვები არ შეერაცხება მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას. შესაბამისად, არ არსებობს კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ. კითხვის ნიშნები არსებობს პროკურორის განცხადებაში, სადაც მან შედარება მოიყვანა მომჩივნისა და ჩარლზ დიკენსის რომანის, „ოლივერ ტვისტის“ პერსონაჟს, ფაგინს შორის, და ასევე, იმაში, თუ როგორ გადაწყვიტეს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნული საკითხი და რამდენად იყო მიმართული იგი მომჩივნის სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლების შეზღუდვისკენ.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ სააპელაციო სასამარ-

---

<sup>25</sup> Misha ELIAS v. The United Kingdom, №48905/99, ECHR 2001

თლოსგან და ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, უშუალოდ მოისმინა აღნიშნული სიტყვები, მაგრამ მიიჩნია, რომ ებრაული წარმოშობის განსასჯელისთვის განზრახ შეურაცხყოფელ რეპლიკას ზოგადად შესაძლოა მოჰყოლოდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა, თუმცა მოსამართლის შეფასებით, ამ შემთხვევაში დათხოვნის საფუძველი არ იყო, რადგან ბრალდების მხარეს ბრალდებულის დამცირების განზრახვა არ ჰქონია. ევროპული სასამართლო ამ შეფასებაში ეთანხმება საქმის განმხილველ მოსამართლეს. როგორც დებატების ოქმიდან ირკვევა, ბრალმდებელმა სრული მნიშვნელობით არ იცოდა რას ნიშნავდა ტერმინი „ფაგინის“ გამოყენება ებრაელ ბრალდებულთან მიმართებაში. საქმის განმხილველმა მოსამართლემ, ასევე, ჩათვალა, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო, აღნიშნულ განცხადებას გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე.

მომდევნო საკითხად საქმეზე განხილული იქნა ბრალმდებელის მიერ მობოდიშება. ბოდიშის მოხდა მაქსიმალურად შესაძლებელი ხარისხით ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი შედარება, რაც ბრალმდებელმა მოიყვანა, არ შეადგენს საქმის ნაწილს. სააპელაციო სასამართლოს წინაშე, მოსამართლე ლორდმა, პოტერმა უკმაყოფილება გამოხატა იმ სიტყვების მიმართ, რომელიც ბრალმდებელმა წარმოსთქვა. მოსამართლის შეფასებით, არ არსებობდა რეალური საფრთხე, რომ ნაფიც მსაჯულთა მთლიანი შემადგენლობა ან რომელიმე მათგან უსამართლოდ მოპყრობოდნენ ბრალდებულს რასობრივი შეხედულებების, ტენდენციურობის ან პროკურორის სიტყვების გამო. აღნიშნული დასკვნები ნათლად ასახავს კითხვის იმ ნაწილს, რომელზე პასუხის გაცემასაც ითხოვს მომჩივანი ევროპული სასამართლოსგან: უარი ეთქვა თუ არა მომჩივანს „სამართლიან სასამართლოზე“ ბრალმდებელის სიტყვების გამო. აღნიშნული შეფასებების ფონზე, რომელსაც სასამართლო იზიარებს, არ არსებობს დამატებით იმის შემონმების საჭიროება, შეეძლო თუ არა სააპელაციო სასამართლოს გამოესწორებინა პირველი ინსტანციის მიერ დამტკიცებული უსამართლობა. წინამდებარე საქმეში პროცესის სამართლიანობასთან დაკავშირებით საჩივარი სააპელაციო სასამართლოში მომჩივანს არ წარუდგენია.

კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში წინამდებარე საჩივართან დაკავშირებით,



მაშინ, როცა ბრალმდებელის რეპლიკა შესაძლოა აღქმული ყოფილიყო, ბრალმდებლის მხრიდან როგორც ფარული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოვლინება, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოების ქმედებაში არ შეინიშნებოდა ამ რეპლიკის გაზიარების ნიშნები.

### **ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Horncastle and others v. The United Kingdom)**

მოცემულ საქმეში<sup>26</sup> ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, რადგან გარდაცვლილი მოწმის ჩვენების შეფასებასთან დაკავშირებით ნაფიც მსაჯულებს მიღებული ჰქონდათ მოსამართლისგან სათანადო მითითება. მათ განემარტათ, რომ სიფრთხილით უნდა შეეფასებინათ იმ მოწმის ჩვენების სანდოობა, რომლის დაკითხვაც გარდაცვალების გამო ვერ შედგებოდა. ამასთან, გარდაცვლილი მოწმის ჩვენება საქმეზე გადამწყვეტი მნიშვნელობის არ ყოფილა.

(§141) რაც შეეხება პ.რ.-ს მოწმის ჩვენებას, იყო თუ არა ის საქმეში ერთადერთი და გადამწყვეტი, ამ შემთხვევაში ევროპული სასამართლოსთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ეროვნული სასამართლოს გადამწყვეტილება. საქმის განმხილველმა მოსამართლემ, დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ ბრალდება დამოკიდებული იყო პ.რ.-ს ჩვენებაზე. სააპელაციო სასამართლომ გამოავლინა პ.რ.-ს ჩვენებისგან დამოუკიდებელი არსებითი მტკიცებულება. თუმცა, საქმის შემდეგი გარემოებებიდან დგინდება – საქმის განმხილველი მოსამართლის შემაჯამებელი სიტყვიდან და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა სპეციალურად სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ ითხოვეს ჩვენების ნახვა – რომ ჩვენება „დამაჯერებელი ხარისხით“ წარმოადგენდა გამამტყუნებელი ვერდიქტის მიღების საფუძველს. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტიც, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება ჩვენების „გადამწყვეტი“ ბუნების შესახებ გაკეთდა მანამდე, სანამ დიდი პალატა დააკონკრეტებდა, რომ აღნიშნული ტერმინი უნდა განიმარტოს ვინრო გაგებით

<sup>26</sup> Horncastle and others v. The United Kingdom, №4184/0, ECHR 2014

და სხვა თანმხლები მამხილებელი მტკიცებულებების ხარისხის გათვალისწინებით. სადავოა, რომ სხვა მამხილებელი მტკიცებულებების ძალა, კერძოდ კი, ბ-ნი ჰორნკასტლისა და ბ-ნი ბლექმორის აღიარება, რომ ისინი იმყოფებოდნენ პ.რ.-ს საცხოვრებელ ბინაში ლამით მოპარული საკუთრების დაბრუნების და მასზედ სისხლის კვალის, სამეცნიერო სამხილის მოპოვების მიზნით, ასევე, თავდასხმის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, მიუთითებდა, რომ საქმის შედეგობრივი თვალსაზრისით პ.რ.-ს ჩვენება არ იყო „გადამწყვეტი“ ხასიათის.

(§142) იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ პ.რ.-ს საქმეზე ჩვენება მიღებულ იქნა, როგორც „გადამწყვეტი“ მნიშვნელობის, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა საკმარისი ურთიერთდამაბალანსებელი ფაქტორები იმ სირთულეების დასაბალანსებლად, რომელიც შესაძლებელი იყო გამონვეულიყო ამგვარი მტკიცებულების დაშვებით. გარანტიები, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, სათანადოდ იქნა გამოყენებული. კერძოდ კი, საქმის განმხილველმა მოსამართლემ განიხილა პ.რ.-ს წერილობითი ჩვენების დასაშვებობის საკითხი მის ნაკითხვამდე და დეტალურად განმარტა ჩვენების დაუშვებლად უარის თმის მიზეზები. მოსამართლემ საჭიროდ მიიჩნია ნაფიცი მსაჯულებისთვის მიეცა მკაფიო მითითება მოწმის წერილობითი ჩვენების შეფასებასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას ნაფიცი მსაჯულებს სათანადო წესის დაცვით მკაფიოდ მითითებები მისცა და გააფრთხილა ისინი, რომ წერილობითი ჩვენების შეფასებისას სიფრთხილედ უნდა გამოეჩინათ და მოსამართლემ ხაზი გაუსვა დაცვის მხარესთან მიმართებაში სხვადასხვა შემზღუდველ ფაქტორებს, რომელი დაკავშირებული იყო პ.რ.-ს სასამართლო პროცესზე არყოფნით. მითითებებს არ უნდა დაეტოვებინათ ნაფიცი მსაჯულებისთვის ეჭვები პ.რ.-ს ჩვენების შემზღუდვასთან და მისი გათვალისწინების ხარისხთან დაკავშირებით. მომჩივნებს არ უდავიათ, რომ ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობას არასწორი მითითებები მისცეს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პ.რ.-ს ვინაობა, რომელიც ანონიმურია წინამდებარე გადანწყვეტილების მიზ-

ნებისათვის, ცნობილი იყო მომჩივნისთვის. მათ შეეძლოთ და წარმოადგინეს კიდეც, მტკიცებულება იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინათ ჩვენების საიმედოობა და პ.რ.-ს სანდოობა. პ.რ.-ს საავადმყოფოში ყოფნის სრული დეტალები მათთვის გასაჯაროვდა და მათ პ.რ.-ს წერილობითი ჩვენება ეჭვქვეშ დააყენეს, მისი ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულების აღიარებით, ასევე იმით, რომ აღნიშნულ დღეს ის ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და აღიარებდა, რომ მისი მეხსიერება „ბუნდოვანი“ იყო. პ.რ.-ს წერილობითი ჩვენების სხვადასხვა გარემოებები დაადასტურა საქმეზე არსებულმა დამოუკიდებელმა მტკიცებულებამ, მომჩივანთა აღიარების ჩათვლით, რომ ისინი, დ.-სთან ერთად იმყოფებოდნენ პ.რ.-ს ბინაში, ღამით მოპარული საკუთრების დაბრუნების და მასზედ სისხლის კვალის, სამეცნიერო სამხილის მოპოვების მიზნით. დაცვის მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა ირიბი ჩვენება, თუ ისინი მიუთითებდნენ, რომ ჩვენების არადაამაჯერებლობიდან გამომდინარე ნებისმიერი განაჩენი იქნებოდა არასანდო. ამასთანავე, მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაცვა გაემყარებინათ იმ ფაქტზე აპელირებით, რომ მ. იყო მოძალადე. მათ, ასევე, მიეცათ შესაძლებლობა დეტალურად წარმოედგინათ მტკიცებულების სახით მ.-ს წარსულში ნასამართლეობის დეტალები.

(§143) შეჯამებისას, სასამართლო მიიჩნევს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ საქმეზე წარმოდგენილ სხვა ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკას, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას ჰქონდა შესაძლებლობა პ.რ.-ს ჩვენების სანდოობა სამართლიანად და სათანადოდ შეეფასებინათ. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-სამე (დ) პარაგრაფების დარღვევა არ დაადგინა.

## მუსტაფა კამალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Mustafa Kamal v. The United Kingdom)

მოცემული საჩივარი<sup>27</sup> ევროპულმა სასამართლომ დაუმკვიდრებლად ცნო. მომჩივანი დავობდა, რომ მასმედიის საშუალებებით საქმის მუდმივი გაშუქების გამო ნაფიცი მსაჯულები მოექცნენ ზეგავლენის ქვეშ, რითაც შეიზღუდა მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაფიცი მსაჯულებს მიეცათ მკაფიო მითითება, არ გაეთვალისწინებინათ მედიაში გაშუქებული ინფორმაცია ვერდიქტის მიღებისას, რაც სათანადო გარანტიას ქმნიდა, რომ ვერდიქტი ობიექტურად იყო მიღებული.

(§37) მომჩივნის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს საქმეზე მედიის მხრიდან უარყოფითი რეზონანსი. მისი მტკიცებით, შეუძლებელი იყო საქმის მიუკერძოებლად განხილვა, რადგან ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობაზე აუცილებლად მოახდენდა ზეგავლენას 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები ან მის რეპუტაციაზე მტრული მედია პროპაგანდა. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ტრიბუნალი, ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით უნდა იყვნენ მიუკერძოებელი, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური თვალსაზრისით. მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად ითვლება მანამ, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება. იგივე შეეხება ნაფიცი მსაჯულებსაც.

(§38) მიმდინარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რომლებიც მის საქმეს განიხილავდნენ, სუბიექტურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული არც ერთი ბრალდება არ გამოთქმულა. პირიქით, როგორც საქმის განმხილველმა მოსამართლემ აღნიშნა, 2006 წლის 7 თებერვალს სამართალწარმოების შეჩერებაზე უარის დროს ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ნაფიცი მსაჯულები განიხილავდნენ მათ წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს. როგორც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენილიყო ის ფაქტი, რომ გამამართლებელი ვერდიქტი

<sup>27</sup> Mustafa Kamal v. The United Kingdom, №31411/07, ECHR 2011

ბრალდების შესახებ დადგენილების გარკვეულ პუნქტებს დაუბრუნდა და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტში აისახა „რაციონალური დიფერენციაცია“ სუსტ და ძლიერ პუნქტებს შორის. ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი ცხადყოფს, იმისდა მიუხედავად, რომ მომჩივანი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც კი, ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი მომჩივანს აეხსნა თავისი ქმედებები ნაფიც მსაჯულთა წინაშე; აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულები მას ბრალდების ზოგიერთ ეპიზოდში ვერ გაამართლებდნენ.

(§39) რაც შეეხება ნაფიცი მსაჯულების ობიექტურ მიუკერძოებლობას, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს რისკი, საზოგადოებაში უარყოფითმა რეზონანსმა სასამართლო პროცესის წინ ნაფიც მსაჯულებს წინასწარ უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბონ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომჩივნის შემთხვევაში პროპაგანდა უწყვეტი და სენსაციურია. როგორც სააპელაციო სასამართლოს და საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტის პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს კარგად აქვთ გაცნობიერებული აღნიშნული რისკი. სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩატარება შესაძლებელია ინტენსიური უარყოფითი რეზონანსის შემდეგაც. დემოკრატიის პირობებში გარდაუვალია, რომ რეზონანსულმა საქმეებმა არ მიიპყრონ მედიის ყურადღება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი მედია გამომხაურება აუცილებლად ზიანს აყენებს ბრალდებულის სამართლიანი პროცესის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უფრო გახმაურებული იქნებოდა დანაშაული, იმის უფრო ნაკლები ალბათობა იქნებოდა, რომ გასამართლებულიყვნენ და დამნაშავედ ეცნოთ დანაშაულის ჩამდენები. როგორც ლორდი ჰოუფი აცხადებდა, საქმეში მონტგომერი ადვოკატის წინააღმდეგ<sup>28</sup> (*Montgomery v. HM Advocate*) კონვენციის მე-6 მუხლის მიზანს არ წარმოადგენს პასუხისგებაში იმ პირების მიცემისთვის ხელის შეშლა,

<sup>28</sup> *Montgomery v. HM Advocate*; [2003] 1 AC 641

რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი. ნაცვლად ამისა, ევროპული სასამართლოს მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: შეისწავლოს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში წარმართულიყო სამართლიანად. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლომ უნდა მოითხოვოს ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად დასაბუთებული უტყუარი მტკიცებულებები, სანამ თუ მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა დადგინდება. სასამართლო აღიარებს, რომ შეურაცხყოფელმა მედია კამპანიამ გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს სასამართლო პროცესის სამართლიანობას საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის გზით, და შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზეც, რომლებიც მოწვეულნი არიან, ბრალდებულის ბრალეულობის დასადგენად. თუმცა, საქმეების უმრავლესობაში, სასამართლო პროცესის ბუნება, განსაკუთრებით კი საქმის განმხილველი მოსამართლის როლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხელმძღვანელობაში უნდა უზრუნველყოფდეს სამართალწარმოების სამართლიანად წარმართვას. გარდა ამისა, ამგვარი საგამონაკლისო გარემოებების შეფასება შესაძლებლობა უფრო ეროვნულ სასამართლოს აქვს ვიდრე ევროპულ სასამართლოს. აღნიშნული განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მაშინ, როდესაც ინგლისსა და უელსში სასამართლოები სარგებლობენ დიდი უფლებამოსილებით იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას უარყოფითი ინფორმაციის მედიასაშუალებებში გაშუქება. აუცილებლობის შემთხვევაში, ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ შეაჩერონ სამართალწარმოება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც მონტგომერის საქმეში იყო აღნიშნული, ასეთი მიდგომა ასახავს არა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების პრაქტიკას, არამედ სისხლის სამართლის სისტემის გამოცდილებას მთლიანად საერთო სამართლის სფეროში. სასამართლოს აზრით, აღნიშნული პრაქტიკა პატივისცემას იმსახურებს.

(§40) წინამდებარე საქმეში, სხდომის თავმჯდომარემ სრულყოფილი და მკაფიო მითითება მისცა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას, მოეხდინათ უგულებელყოფა მომჩივნის მისამართით გავრცელებულ უარყოფით ინფორმაცი-

ას და აღნიშნულის ნაცვლად ყურადღებით განეხილათ მათ წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები. ნაფიც მსაჯულებს კიდევ ერთი მითითება მიეცათ თათბირის დაწყების შემდეგაც. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მითითება „ფრთხილ და ჭკვიანურ“ მითითებად მიიჩნია. ევროპული სასამართლო იზიარებს შემდეგ მოსაზრებას: ნაფიც მსაჯულთა კოლეგიისათვის მიცემული მითითება, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე პროცესის მსვლელობისას მედიას აძლევს განმეორებით გაფრთხილებას, წარმოადგენს საკმარის გარანტიას, რომ გამოირიცხოს ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში არ შეინიშნება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის ნიშნები.

## **მიდლტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Middleton v. United Kingdom)**

მომჩივანი<sup>29</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის წინაშე დავობდა (ერთ-ერთი მოთხოვნა), რომ მის საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. კერძოდ, მომჩივნის მტკიცებით, საგაზეთო სტატიებში მუდმივად შუქდებოდა მის საქმეზე სასამართლო პროცესის დროს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რამაც მისი შეფასებით, გავლენა იქონია ნაფიც მსაჯულებზე მის წინააღმდეგ წინასწარ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებაში.

სასამართლო პროცესი შოტლანდიაში დაიწყო 1993 წლის 15 მარტს. მომჩივნის ინტერესებს იცავდა ადვოკატი. საქმეზე მტკიცებულებათა უმეტესი ნაწილი წარმოადგინეს სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებმა. ყოველი სასამართლო განხილვის გამართვის შემდეგ, შოტლანდიური გამოცემა აქტიურად ბეჭდავდა ინფორმაციას საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ. მომჩივნის ინტერესების დამცველმა სა-

---

<sup>29</sup> Middleton v. United Kingdom, (dec), №23934/94, ECHR 1996

სამართლოს წინაშე დააყენა საკითხი საგაზეთო სტატიების შე-  
საძლო უარყოფით გავლენაზე ნაფიც მსაჯულებთან მიმართე-  
ბით. 1993 წლის 17 მარტს სხდომის თავმჯდომარემ შემდეგი  
მითითება მისცა ნაფიც მსაჯულებს:

„თქვენ განკარგავთ ფაქტებს და თქვენს ფუნქციას წარმოად-  
გენს განიხილოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგე-  
ნილ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და გადანყვეტილება  
მიიღოთ სწორედ ამ ფაქტებზე დაყრდნობით. როდესაც ჩვენ  
ვსაუბრობთ ფაქტებზე, რომლებიც დასტურდება მტკიცებუ-  
ლებებით, თქვენ ვალდებული ხართ საქმე გადანყვიტოთ  
თქვენს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალის-  
წინებით. თქვენ უნდა უგულვებლყოთ ნებისმიერი სპეკულაცია,  
კომენტარი, ასევე, საგაზეთო სტატია, თუ ის წაიკითხეთ წინა  
დღეს. არ დაუშვათ მოექცეთ ნებისმიერი მსგავსი ფაქტორის  
ზეგავლენის ქვეშ“.

მას შემდეგ რაც მოსამართლემ შეაჯამა პროცესი, ნაფიცი მსა-  
ჯულები ვერდიქტის მისაღებად გავიდნენ სათათბირო ოთახში  
10 საათსა და 27 წუთზე და გადანყვეტილებით დაბრუნდნენ 11  
საათსა და 19 წუთზე. ნაფიცმა მსაჯულებმა გამამტყუნებელი  
ვერდიქტი ერთხმად მიიღეს.

ნაფიც მსაჯულებზე შესაძლო ზეგავლენასთან დაკავშირებით,  
კომისია აღნიშნავს, რომ პრეცედენტული სამართლის გათვა-  
ლისწინებით, მიუკერძოებლობის დასადგენად უნდა შემოწმდეს  
სუბიექტური ტესტი, მოცემულ საქმეში კონკრეტულმა მოსა-  
მართლემ ხომ არ დააფუძნა მსჯავრდება პირად მოსაზრებებს.  
ზოგადად, პიროვნული მიუკერძოებლობა ივარაუდება მანამ, სა-  
ნამ საპირისპირო არ დამტკიცდება.

დამატებით, უნდა შემოწმდეს ობიექტური ტესტი. უნდა შეფას-  
დეს არსებობს თუ არა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით,  
საკმარისი გარანტიები ლეგიტიმური ეჭვების გასაფანტად. გა-  
რეგნული მხარე რათქმაუნდა მნიშვნელოვანია, გასათვალის-  
წინებელია, საფრთხის ქვეშ ხომ არ დგას ნდობა, რაც ბრალდე-  
ბულს სისხლისსამართლებრივ პროცესში სასამართლოს მიმართ  
უნდა ჰქონდეს, ამასთან მომჩივნის შიშს მიუკერძოებლობა-  
სთან დაკავშირებით ხომ არ აქვს ობიექტური გამართლება.



უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული პრინციპები თანაბრად ვრცელდება თითოეულ ნაფიც მსაჯულზე, რადგან ისინი არიან ფაქტების შემფასებელი. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში სათათბირო ოთახში განხილვას ესწრებიან მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები, ისინი არ ასაბუთებენ თავიანთ გადანყვეტილებას, ამავდროულად, ძნელია განისაზღვროს ნაფიც მსაჯულთა დისკუსიის შინაარსი, აქედან გამომდინარე, ფაქტიურად შეუძლებელია წარმოდგინო მტკიცებულება ერთ ან რამდენიმე ნაფიც მსაჯულთან მიმართებით მიკერძოების ეჭვების დასამტკიცებლად. ამგვარ შემთხვევებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებობს თუ არა ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად ობიექტური გარანტიები.

კომისია აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მკაფიო მითითების მიცემა საკმარისი ფაქტორია, დადგინდეს ნაფიც მსაჯულთა ობიექტური მიუკერძოებლობა.

მოცემულ საქმეში, კომისია თვლის, რომ არ არსებობს რომელიმე ნაფიცი მსაჯულის მხრიდან სუბიექტური მიკერძოების რაიმე ნიშანი. რაც შეეხება, საგაზეთო სტატიების მეშვეობით ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენასთან დაკავშირებით განცხადებლის შიშის ობიექტურ გამართლებას, კომისია აღნიშნავს, რომ საქმეზე სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში და სხდომის თავმჯდომარეს ამ პერიოდის მანძილზე შესაძლებლობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულებთან კომუნიკაციისას დაეფიქსირებინა მიკერძოების რისკი. მას შემდეგ რაც სხდომის თავმჯდომარისთვის ცნობილი გახდა საგაზეთო სტატიების შესახებ, მან მიმართა ნაფიც მსაჯულებს მკაფიო მითითებით. მოსამართლემ მითითებისას ხაზი გაუსვა ნაფიც მსაჯულთა ვალდებულებას, გადანყვეტილება მიელოთ სასამართლოში მათ წინაშე წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე და უგულებელყოთ და არ მოქცეულიყვნენ სხვა ნებისმიერი ფაქტორის, სპეკულაციის, კომენტარის ან საგაზეთო სტატიების ზეგავლენის ქვეშ.

დამატებით, კომისია აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საგაზეთო სტატიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ის უბრალოდ აღწერს, შეფასების გარეშე, სასამართლო განხილვების პერიოდში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სხვადასხვა მოწმის, მათ შორის, მომჩივნის ჩვენებებს.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, კომისიამ მიიჩნია, რომ მომჩივნის შიში ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებასთან დაკავშირებით არ იყო ობიექტურად გამართლებული. აქედან გამომდინარე, კომისიამ საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად სცნო.

## **კრისტიანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ (Kristianseni v. Norway)**

ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე<sup>30</sup> დარღვევა დაადგინა. მომჩივნის მტკიცებით, ვერდიქტი გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებულმა შემადგენლობამ. კერძოდ, ერთ-ერთი ნაფიც მსაჯული წარსულში იცნობდა დაზარალებულს, მან ამის შესახებ განაცხადა სასამართლო განხილვისას და თან დაზარალებული დაახასიათა მშვიდ პიროვნებად. სასამართლომ მხედველობაში მიიღო განცხადების გაკეთების დრო და განცხადების შინაარსი და საქმეზე დარღვევა დაადგინა.

(§52) რომ მივუბრუნდეთ წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯ. წარსულში იცნობდა ქ-ნ ა-ს და მან განაცხადა, რომ „ჩამოუყალიბდა დაზარალებულის მიმართ აზრი მრავალი წლის წინ, როდესაც მას იმ დროისათვის წყნარ და მშვიდ პიროვნებად იცნობდა“. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მცირე ნაწილი დაეთანხმა უმრავლესობის მოსაზრებას, რომ წარსული ურთიერთობა მსხვერპლსა და ჯ.-ს შორის თავისთავად ვერ გამოიწვევდა ამ უკანასკნელის დისკვალიფიკაციას. ამ თვალსაზრისით, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თავად ფაქტი, რომ ჯ.-ს დაზარალებული დაბადების დღის წვეულებებიდან და კლასის ექსკურსიებიდან იცნობდა, თავისთავად არ მიუთითებს დაზარალებულის იდენტიფიცირებაზე ან სხვა გზით ჯ.-ს მიუკერძოებლობის ნდობის შესუსტებას. იგი მოიცავს არარეგულარულ ურთიერთობას და არა პირად ნაცნობობას, და აღნიშნული ურთიერთობა თარიღდება რამდენიმე წლის წინანდელი პერიოდით. დაცვის მხარის ადვოკატსაც არ განუცხა-

---

<sup>30</sup> Kristianseni v. Norway, №1176/10, ECHR 2015

დებია უზენაესი სასამართლოს წინაშე, რომ აღნიშნული საკმარისი საფუძველი იყო დისკვალიფიკაციისათვის. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საფუძველს, რომ სხვაგვარად იფიქროს.

(§53) გაცილებით პრობლემატურია ის ფაქტი, რომ ჯ.-მ ქ-ნი აწარმოაჩინა „წყნარ და მშვიდ პიროვნებად“. აღნიშნული, როგორც მისივე სიტყვებიდან ირკვევა, არ იყო უბრალოდ შთაბეჭდილება, არამედ მისი „პორტრეტი“, რომელიც მას „ჩამოუყალიბდა ქ-ნ ა.-ს იმდროინდელი ნაცნობობის „გამოცდილების“ საფუძველზე. გამოთქმული არ ყოფილა მოსაზრება, რომ ჯ.-ს განცხადება, შესაძლოა, გაეგოთ, რომ აღნიშნული „პორტრეტი“ უარყოფითად შეიცვალა განმცხადებლისა და ქ-ნ ა.-ს ჩვენების მოსმენის შემდეგ. პირიქით, მხარეთა საერთო მოსაზრებაა, რომ ა.-ს დახასიათებას უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია, თუმცა მოსაზრებები განსხვავდება მისი შინაარსისა და მიუკერძოებლობის საკითხის შეფასების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

(§54) აღნიშნულთან მიმართებაში, სასამართლო მხედველობაში იღებს უზენაესი სასამართლოს უმრავლესობის მოსაზრებას, რომ ჯ.-ს განცხადება ნაკლებ სავარაუდოა აღქმული ყოფილიყო, როგორც პიროვნების სანდოობის შეფასების გამოხატვა ან შეექმნა მისი იდენტიფიკაციის ან მის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიის შთაბეჭდილება. უმრავლესობის აზრით, აღნიშნული წარმოდგენდა ნეიტრალური მნიშვნელობის შეფასებას, ბავშვის შეუმჩნეველ ქცევაზე დაკვირვებას. თუმცა, დასაშვებია ვინმეს ამ შეფასების საფუძველზე დაესკვნა, რომ წყნარი გოგონა უმიზეზოდ ასეთ აურზაურს არ გამოიწვევდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ა.-ს ტირილი და სასონარკვეთილება ავტომობილით გასეირნების შემდეგ მისი გაუპატიურების მცდელობაზე მიანიშნებდა. ამავდროულად, უმრავლესობის შეფასებით, არ არსებობდა ამგვარი დასკვნის გაკეთების ნიშნები და არ იყო საჭიროება რაიმე წონა მინიჭებოდა ამ ალბათობას.

(§55) უმცირესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „წყნარი და მშვიდი პიროვნების“ პირდაპირი მნიშვნელობით გან-

მარტება არ იყო უშუალოდ დაკავშირებული სანდოობის შეფასებასთან, დახასიათება დადებით კონტექსტში იყო წარმოთქმული და, როდესაც იგი გამოითქვა, დაზარალებულის ჩვენების მიცემიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჯ.-ს მოსაზრებაზე დაყრდნობით, შეიძლებოდა, სულ მცირე, აღქმული ყოფილიყო ისეთ პიროვნებად, რომელსაც აურზაურის გამონვევა არ შეეძლო და შესაბამისად, იგი ტყუილად არ დაადანაშაულებდა ადამიანს გაუპატიურების მცდელობაში. ჯ.-ს აზრი, თუ როგორად აღიქვამდა მას „იმ პერიოდში“ მეორეხარისხოვანია. ეს ნიუანსია, რომელიც შესაძლოა იოლად ვერ შეამჩნიოს ადამიანმა, რომელმაც შემთხვევით გაიგონა განცხადება, სადაც, დროის გათვალისწინებით, ძნელი აღსაქმელი იქნებოდა, როგორც წამოცდენა ა.-ს ახლანდელ ხასიათთან დაკავშირებით.

(§56) სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, განსაზღვროს ჯ.-ს მსჯელობის ზუსტი მნიშვნელობა, რომელიც ბუნდოვანი და არაზუსტი იყო, მაგრამ იგი ეთანხმება უმცირესობას, რომ განცხადების გაკეთების მომენტი აუცილებლად გათვალისწინებულია.

(§57) რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ეს იყო შეფასებითი მსჯელობა, რომელიც ასახავდა ქ-ნ ა.-ზე წინასწარშექმნილ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადების შინაარსს და მიუკერძოებლობის საკითხის მნიშვნელობას იოლად შეიძლებოდა არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონოდა, ნათელია, რომ იგი არ იყო უარყოფითი. სავსებით გონივრული იქნებოდა ვარაუდი, რომ ქ-ნ ა.-სთან მიმართებაში არსებობდა გარკვეული დადებითი კონოტაციები, რომლებსაც გავლენის მოხდენა შეეძლო ჯ.-ს შეფასებაზე და/ან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის სხვა წევრებზე ბრალდებულის სანიანააღმდეგოდ. აღნიშნული შესაძლებლობა გამყარდა იმ ფაქტით, რომ ჯ.-მ წარმოთქვა შეფასებითი მსჯელობა, იმ დროს, როდესაც იგი შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო, როგორც კომენტარი ან ერთის მხრივ რეაქცია. ქ-ნ ა.-ს, და მეორეს მხრივ, განმცხადებლის მიერ მიცემულ ზეპირ ჩვენებებზე. ასევე საყურადღებოა, რომ უზენაესი სასამართლო განმცხადებლის ვერსიას დაეყრდნობოდა თუ დაზარალებულის

ვერსიას სადავო საკითხებთან დაკავშირებით დამნაშავედ ცნობისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

(§58) აღნიშნულ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის შიშს ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა, რომ შესაძლოა, ჯ.-ს წინასწარ შექმნილ აზრს გავლენის მოხდენა შეეძლო მის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობაზე.

(§59) გარდა ამისა, დროული იყო, რომ ჯ.-ს აცილების მოთხოვნა მიუკერძოებლობის საფუძველზე არა მხოლოდ დაცვის მხარის ადვოკატმა მოითხოვა, არამედ ა.-ს დამხმარე ადვოკატმაც დაუჭირა მხარი მის შუამდგომლობას და პროკურორიც გაგებით მოეკიდა შუამდგომლობას საკუთარი პოზიციის გამოხატვის გარეშე. სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც არც ერთ სანინააღმდეგო აზრი და კომენტარი ცალკე გადამწყვეტი არ არის, ერთობლიობაში განხილვისას იგი წამოადგენს ალბათობის მნიშვნელობის ინდიკატორს წინამდებარე საქმეში.

(§60) თუმცა, ჯ.-ს მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსისა და მისი გაკეთების მომენტის, ასევე, მისი ქ-ნ ა.-სთან წარსული ნაცნობობისა და ჯ.-ს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წევრობასთან დაკავშირებული უარყოფითი აზრისა და კომენტარის მიუხედავად, რომელიც გაკეთდა სასამართლო პროცესის დროს ყველა მხარის კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან, უმაღლესმა სასამართლომ გადანყვიტა, რომ იგი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში დარჩენილიყო. შედეგად მან განაგრძო საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა დასწრება და მისი აცილების საკითხის ხელახლა დაყენების გარეშე. არ არსებობს ინფორმაცია და არც სადავო გამხდარა, რომ სხდომის თავმჯდომარემ მისცა მითითება ნაფიც მსაჯულებს. მაგალითად, მას ნაფიცი მსაჯულებისთვის განემარტა, რომ ეხელმძღვანელათ მხოლოდ სასამართლოზე წარმოდგენილ მტკიცებულებით და რომ უფლება არ ჰქონდათ, მათ ვერდიქტზე სხვა რაიმე ფაქტორს მოეხდინა ზეგავლენა. ნაფიც მსაჯულთა დადებითი პასუხის შემდეგ გაუპატიურების ბრალდებასთან დაკავშირებით (და სხვა ბრალდებებზეც), ჯ.-მ მონაწილეობა მი-

ილო იმ შემადგენლობაშიც, რომელიც განსაზღვრავდა სასჯელს და შედგებოდა (კენჭისყრის საფუძველზე შერჩეული) პროფესიონალი მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულებისაგან.

(§61) ზემოხსენებული ფაქტორების კუმულაციურად გათვალისწინებით, როგორცაა – განცხადების შინაარსი, მისი გაკეთების მომენტი, გადანყვეტილება ჯ. არ დაეთხოვათ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან და ნაფიც მსაჯულთათვის სათანადო მითითების მიუცემლობა – იძლეოდა უმაღლესი სასამართლოს მიუკერძოებლობის ეჭვის ქვეშ დაყენების დასაბუთებულ საფუძველს. აღნიშნული ხარვეზის შემცირება შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი დაცვის საშუალებით, რომელზეც მთავრობა მიუთითებდა.

### **აბდულა ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Abdulla Ali v. United Kingdom)**

მომჩივანი<sup>31</sup> ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ უარყოფითი მედია პროპაგანდის გამო, მის საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

კერძოდ, მომჩივნის მტკიცებით ფართო უარყოფითი მედია გაშუქების გამო მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. მომჩივანი ბრალდებული იყო ტერორისტულ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებაში, თხევადი ბომბის გამოყენებით აფეთქებინა თვითმფრინავი. პირველ სასამართლო პროცესს ფართო მედია გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის, გაშუქდა დოკუმენტები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი. საბოლოოდ, მომჩივანი დამნაშავედ ცნეს მკვლელობის შეთქმულებაში. შემდგომში, ბრძანება გაიცა საქმის ხელახალი განხილვის თაობაზე მკვლელობის შეთქმულებაში მონაწილეობის უფრო კონკრეტულ ბრალდებაზე, კერძოდ, შუა ფრენის დროს თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობების მეშვეობით მკვლელობის განხორციე-

<sup>31</sup> Abdulla Ali v. United Kingdom, №30971/12, ECHR 2015

ელებაში (აღნიშნულ ბრალდებასთან მიმართებით, პირველ სასამართლო პროცესზე ნაფიც მსაჯულებმა ვერდიქტი ვერ მიიღეს). მომჩივანი დავობდა, რომ უარყოფითი საჯარო გამოხმაურების გათვალისწინებით საქმის გადასინჯვა ვერ იქნებოდა სამართლიანი. მისი არგუმენტი არ გაიზიარა საქმის ხელმეორედ განმხილველმა მოსამართლემ და აპლიკანტი დამნაშავედ ცნო. მას სასჯელის სახით სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, თავისუფლების აღკვეთის ორმოცნობიანი მინიმალური ვადით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ დარღვეულა. სტრასბურგის სასამართლომ დააკენა, რომ უარყოფით საჯარო გამოხმაურებას ნაფიც მსაჯულებზე ისეთი გავლენა არ ჰქონია, რომ წინასწარ ემოქმედა სამართალწარმოების შედეგზე და მომჩივანს საქმის განხილვა არასამართლიანად მიეჩნია. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ უარყოფითი საჯარო გამოხმაურების შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო ითვალისწინებდა სათანადო მითითებებს საქმის ხელახლა განმხილველი მოსამართლისათვის. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის მიერ მიღებული ზომები საკმარისი იყო. ამრიგად, სასამართლო განიხილავდა, გავიდა თუ არა საკმარისი დრო, რათა საქმის გადასინჯვის დაწყებამდე წინასწარ აზრის შექმნელი ცნობები წარსულს მისცემოდა. სტრასბურგის სასამართლო აცნობიერებდა ნაფიც მსაჯულებისთვის მიუკერძოებლობის თაობაზე მითითების მიცემის, აგრეთვე, საქმის მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვეტის მნიშვნელობას. მოგვიანებით მოსამართლემ გასცა მორიგი, ნათელი მითითებები, რაც მომჩივანს არ გაუსაჩივრებია. ის ფაქტი, რომ შემდგომში ნაფიც მსაჯულებმა საქმეში მონაწილე მრავალ ბრალდებულთან მიმართებით განსხვავებული ვერდიქტი გამოიტანეს, ამყარებდა მოსამართლის დასკვნას, რომ ნაფიც მსაჯულები იცავდნენ ინსტრუქციებს, რომ საქმე სამართლიანად უნდა გადაეწყვიტათ მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე.

(§68) სასამართლოს უწყებაზე რეაგირების შემდეგ, ნაფიც მსაჯულებს ეგზავნებთ ბროშურა სახელწოდებით „სახელმძღვანელო წესები ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შე-

სახეზე“. ბროშურაში განმარტებულია, რომ ნაფიც მსაჯულთა თათბირის შინაარსი საიდუმლოა და ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ განიხილონ საქმესთან დაკავშირებული საკითხები ვინმესთან, გარდა კოლეგა ნაფიცი მსაჯულებისა. მითითების თანახმად, ვერდიქტი უნდა მიიღონ მხოლოდ ნაფიცმა მსაჯულებმა და მათი ვალდებულებაა გადაწყვეტილება დააფუძნონ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ბროშურაში ასევე ხაზგასმულია, რომ ნაფიც მსაჯულზე ნებისმიერი სახის ზენოლა ან ზეგავლენის მოხდენის მცდელობა ისჯება კანონით.

(§69) მას შემდეგ რაც ფორმირდება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, ისინი დებენ ფიცს.

(§87) კრიტიკულმა მედია კამპანიამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სამართლიან სასამართლო განხილვაზე საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის გზით და შედეგად, ნაფიცმა მსაჯულებმა შესაძლებელია მიიღონ გამამტყუნებელი ვერდიქტი. ამ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის გათვალისწინებით სასამართლოს მიუკერძოებლობა და კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფიდან გამომდინარე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა. თუ სასამართლო პროცესს თან ახლავს კრიტიკული მედია კამპანია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ბრალდებულის სუბიექტურ შიშს მიკერძოებასთან დაკავშირებით, არამედ განსაზღვრულ შემთხვევებში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუ რამდენად ობიექტურად გამართლებული შეიძლება იყოს ამგვარი შიში.

(§88) ევროპულმა სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და უარყოფით მედია კამპანიასთან დაკავშირებით სამართლიანი სასამართლო განხილვის ქრილში წარსულში არაერთი საკითხი მიმოიხილა. პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, ნაკლებად სადავო ხდება სისხლისსამართლებრივ საქმეზე კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა ამ კონტექსტში, როდესაც საქმეს იხილავს პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც მიიჩნევა, რომ ნაკლებად ექვემდებარება გარე ზენოლას პროფესიული ტრენინგებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე.



(§89) ნაფიც მსაჯულთა საქმეებზე, კრიტიკულია მედია კამპანიის, წინასწარი განწყობის შემქმნელი კომენტარებისა და სისხლის სამართალწარმოების დაწყებას შორის თუ გასულია შესაბამისი პერიოდი, ამასთან, თუ ნაფიც მსაჯულებს მიეცათ შესაბამისი მითითებები – აღნიშნული გარემოებები საკმარისია იმისათვის, რომ გამოირიცხოს შიში მიკერძოებასთან დაკავშირებით. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო საგაზეთო სტატიები ქვეყნდებოდა იმ დროს, როდესაც მომავალ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს არც კი ჰქონდათ მოლოდინი, რომ ჩაერთვებოდნენ სასამართლო განხილვაში, შესაბამისად, ნაკლებად წარმოსადგენია, ნაფიც მსაჯულებს გაზეთის გამოქვეყნების დროს განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ სტატიაში მოყვანილ დეტალებზე. ამგავრ შემთხვევებში, ნაფიც მსაჯულებისთვის მითითების მიცემა, რომ მათ უნდა უგულებელყონ სასამართლოს მიღმა გავრცელებული ინფორმაცია, უზრუნველყოფს აგრესიული მედია კამპანიის პირობებშიც კი, სასამართლო განხილვის სამართლიანად წარმართვას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ ნაფიც მსაჯულები ზედმინევი დაიცავენ მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს, სანამ ამ ვარაუდის საპირისპირო მტკიცებულებები არ იქნება წარმოდგენილი.

(§90) აგრესიულ მედია კამპანიასთან დაკავშირებით სხვა საქმეებში, სასამართლომ შეაფასა ამგვარი პუბლიკაციების შინაარსი ხომ არ იყო მინოდებული შესაბამისი უწყებების მხრიდან ან ხომ არ წარმოშობდა მათ პასუხისმგებლობას. (იხ. საქმე სუთიაგინი რუსეთის წინააღმდეგ (Sutyagin v. Russia) (განჩინება), №30024/02, ECHR 2008). მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თუ წინასწარი განწყობის შემქმნელი ფაქტები მინოდებულია შესაბამისი უწყებების მხრიდან მიკერძოებულობასთან დაკავშირებით შეკითხვა შეიძლება რელევანტურად წარმოიშვას იმდენად, რამდენადაც მკითხველმა ამგვარი ინფორმაცია წყაროს გათვალისწინებით უფრო დამაჯერებლად შეიძლება აღიქვას. შეკითხვა თუ რამდენად იმოქმედეს საჯარო მოხელეებმა ბრალდებულის საწინააღმდეგოდ წინასწარ აზრის ფორმირებაზე, უნდა იქნას გან-

ხილული ცალკე საკითხად, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფიდან გამომდინარე, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჭრილში. ამგვარ შემთხვევაში ორიენტირი უნდა გაკეთდეს საჯარო მოხელის ქმედებებზე და არა ზოგადად ტრიბუნალის მოუკერძოებლობაზე. შესაბამისად, გამოქვეყნებული ინფორმაციის დამაჯერებლობის შესაფასებლად, თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, ხანგრძლივი პერიოდის გასვლას ან ნაფიც მსაჯულთა მკაფიო მითითებებს, მივალთ დასკვნამდე, რომ საქმის განხილვა წარმართა სამართლიანად მოუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ. კონკრეტულად კი, მხოლოდ ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარი განწყობის შემქმნელი ინფორმაცია შესაბამისმა უწყებებმა განზრახ გაავრცელეს და მიზნად ისახვდა საქმის სამართლიანი განხილვისთვის ხელის შეშლას არ არის საკმარისი დადგინდეს, რომ ამგვარი ინფორმაციის გავრცელებით სასამართლო ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

## **სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ (Svinarenko and Slyadnev v. Russia)**

მოცემულ საქმეში<sup>32</sup> მომჩივნები დავობდნენ (ერთ-ერთი მოთხოვნა), რომ სასამართლო პროცესის დროს რკინის გისოსებში მათი განთავსებით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა).

(§127) სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და განიხილება, როგორც მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების განუყოფელ ასპექტად. სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს იმსჯელოს სასამართლო დარბაზის არქიტექტურაზე ან ბრალდებულის ფიზიკური შეზღუდვის კონკრეტულ ზომებზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო დარბაზში წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად გამოყენებული უნდა იქნას

---

<sup>32</sup> Svinarenko and Slyadnev v. Russia, [GC], №32541/08, 43441/08, ECHR 2014

ისეთი ზომები, რომლის სიმძიმე და ხასიათი არ მოექცევა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი აბსოლიტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპრობას ან დასჯას. ამ უფლების დარღვევას არ შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური გამართლება.

(§129) ამ მხრივ სასამართლო მხედველობაში იღებს, რომ განმცხადებელთა საქმის განხილვაში მონაწილეობდა 12 ნაფიც მსაჯული, 2 სათადარიგო მსაჯული და სხდომის თავმჯდომარე. ასევე, სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ სხვა მონაწილეებიც, მონმეთა დიდი რაოდენობა - 70 მონმეზე მეტი დაიკითხა პროცესზე – ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები, რომლებიც სასამართლოში გამოცხადდნენ სიაში შეყვანის პროცედურებთან დაკავშირებით. სასამართლო, აგრეთვე, ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ სასამართლო სხდომები იმართებოდა საჯარო წესით. სასამართლოს შეფასებით, მომჩივანთა წარმოჩენა რკინის გისოსებში უარყოფითად იმოქმედებდა საზოგადოებაზე და ბრალდებულებში წარმოშობდა დამამცირებელ, ღირსების შემლახველ გრძნობებს, შიშს, უსუსურობას, არასრულფასოვნებასა და სხვა ნეგატიურ შეგრძნობებს.

(§133) სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნებს ჰქონდათ ობიექტურად გამართლებული შიში იმასთან დაკავშირებით, რომ პროცესის დროს მათი რკინის გისოსებში განთავსება გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედებდა მოსამართლეებზე გადანყვეტილების მიღებისას მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს. ნეგატიური შეხედულების ჩამოყალიბებას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ბრალდებულთა მაღალი საშიშროების გამო საჭირო იყო ფიზიკური შეზღუდვის უკიდურესი ფორმის გამოყენება, რაც თავის მხრივ არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. რკინის გისოსებში განთავსება ბრალდებულებში გამოიწვევდა შფოთვასა და სტრესს, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე.

## თვომი, ქამერონი და გუთრი გაერთიანებულ სამეფოს წინააღმდეგ

(*Twomey, Cameron and Guthrie v. The United Kingdom*)

მოცემული საჩივარი<sup>33</sup> ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო. საქმე შეეხებოდა მოსამართლისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას დაეთხოვათ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, თუ ნაფიცი მსაჯული მოექცეოდა ზეგავლენის ქვეშ. საკანონმდებლო დანაწესი ნებას რთავდა მოსამართლეს თუ ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის ფაქტი ნამდვილად დადგინდებოდა, გაეგრძელებინა საქმის განხილვა მისი მონაწილეობის გარეშე, თუ აღნიშნული უზრუნველყოფა ბრალდებულისთვის სამართლიანობის დაცვას.

პირველი და მეორე მომჩივანი მოსამართლემ დამნაშავედ ცნო ყაჩაღობის ბრალდებაში, მას შემდეგ რაც თავდაპირველმა მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის მოხდენის სერიოზული მცდელობის გათვალისწინებით, საქმის განხილვას ჩამოშორებულიყო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. დაცვის მხარისთვის უცნობი იყო, თუ რის საფუძველზე მიიღო სხდომის თავმჯდომარემ ამგვარი გადაწყვეტილება, თუმცა ბრალდებულთა ინტერესების დამცველებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა დათხოვნასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მოგვიანებით დაადგინა, რომ საქმე უნდა განეხილა მხოლოდ მოსამართლეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, რადგან არსებობდა ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი საფრთხე.

მესამე მომჩივნის საქმე სხვაგვარ პროცედურას უკავშირდებოდა. ის დამნაშავედ ცნეს სამ თანამზრახველთან ერთად თალითობის ბრალდებაში, მას შემდეგ რაც სხდომის თავმჯდომარემ შესაძლო ზეგავლენის გათვალისწინებით დაითხოვა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა და საქმე განიხილა დამოუკიდებლად. დაცვის მხარეს არ მიენოდა ინფორმაცია შესაძლო ზეგავლენის ფაქტებზე, მათ მხოლოდ ეცნობათ სავარაუდო ზეგავლენის ხასიათი და მიეცათ შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლომ მოგვიანებით დაადგინა, რომ საქმე უნდა განეხილა მხოლოდ მოსამართლეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, რადგან არსებობდა ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი საფრთხე.

---

<sup>33</sup> Twomey, Cameron and Guthrie v. The United Kingdom (dec.), №67319/09; №22226/12, ECHR 2013

მართლოში გაესაჩივრებინათ მოსამართლის გადაწყვეტილება. შუალედური გასაჩივრების ეტაპზე, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა მოსამართლის გადაწყვეტილება, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ განხილული დეტალები საჯარო ინტერესის იმუნიტეტის პრინციპის მიხედვით არ უნდა გამჟღავნებულიყო დაცვის მხარისათვის, ამასთან ბრალდებულებისთვის მიცემული ზოგადი მტკიცებულება ნათლად აღწერდა გაუმჟღავნებელი ინფორმაციის ეფექტს და საქმის მასალებზე დაყრდნობით, სასამართლოს შეფასებით, არ არსებობდა საქმის შემდგომ განხილვაში მოსამართლის აცილების საფუძველი.

ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ მათ არ განემარტათ ნაფიც მსაჯულთა დათხოვნის საფუძველი. მესამე მომჩივანი ასევე მიუთითებდა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი საქმის შედეგის მიმართ, რადგან მისთვის ცნობილი იყო ნაფიც მსაჯულზე ზეგავლენის მოხდენის დამადასტურებელი გაუხმაურებელი მტკიცებულება.

რაც შეეხება მომჩივანთა მოთხოვნას, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა მოხდა მათთვის უცნობი საფუძველით, აღსანიშნავია, რომ გაუმჟღავნებელი ინფორმაცია არ ეხებოდა ბრალდებულთა უდანაშაულობას ან ბრალეულობას, ის წარმოადგენდა ცალკე შეფასების საგანს, თუ რამდენად იყო კომუნიკაციის მცდელობა ერთ-ერთ ნაფიც მსაჯულთან. მტკიცებულება წარმოადგინა პროკურატურამ და ეხებოდა პროცესუალურ საკითხს, უნდა მომხდარიყო თუ არა აღნიშნულის საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა და საქმის განხილვა უნდა გაეგრძელებინა თუ არა მხოლოდ მოსამართლეს. დაცვის მხარისათვის ადექვატური გარანტიების შეფასებისას, გასათვალისწინებელია, რომ საფრთხის ქვეშ იყო საერთაღწერადობის ფორმა, ვიდრე გამართლება ან მსჯავრდება, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია. ორივე შემთხვევაში, დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა დათხოვნასთან და მათი მონაწილეობის გარეშე სასამართლო პროცესის სამართლიანად გაგრძელებასთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით, დაცვის მხარეს ჰქონდა საკმარისი გარანტიები, ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს ერთის მხრივ იმ ფაქტს, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი საზგოდოებრივი ინტერესის სა-

ფუძველი, რის გამოც არ გამჟღავნდა შესაბამისი ინფორმაცია, მეორეს მხრივ, გადასაწყვეტი იყო, საქმის განხილვა უნდა გაეგრძელებინა მოსამართლეს მხოლოდ თუ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. სასამართლო განხილვის ორივე ფორმა თანაბრად შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ცალსახად არ განსაზღვრავდა გარემოებებს, რის შემთხვევაშიც არ უნდა გამჟღავნებულიყო ინფორმაცია დაცვის მხარისათვის ნაფიც მსაჯულზე შესაძლო ზეგავლენასთან დაკავშირებით, აღნიშნული დაცვის მხარისთვის უსამართლობას არ წარმოშობდა, რადგან კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი იყო ინფორმაციის კატეგორიები, რომლებიც ექცეოდა საჯარო ინტერესის იმუნიტეტის ფარგლებში.

სასამართლო არ იზიარებს მესამე მომჩივნის არგუმენტს, იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე განიხილა მიკერძოებულმა მოსამართლემ. საქმის განმხილველ მოსამართლეს არ უნახავს გაუხმაურებელი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ბრალდების ერთ-ერთ ელემენტს. ამასთან, როგორც გამოცდილი მოსამართლე სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, ის კარგად აცნობიერებდა, რომ ბრალდების დასადგენად საჭიროა არსებული მტკიცებულებები აკმაყოფილებდნენ გონივრული ეჭვის სტანდარტს. საკანონმდებლო დებულებები მოცემულ შემთხვევაში ემსახურებოდა მართლმსაჯულების ინტერესს, რამდენადაც სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულებს არ ჰქონოდათ შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობით თავი აერიდებინათ მართლმსაჯულებისთვის. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნის შემდეგ, საქმე უნდა განეხილა თავდაპირველ მოსამართლეს თუ საქმე ხელახლა უნდა განეხილა ახალ მოსამართლეს, როგორც ეს მოხდა პირველი და მეორე მომჩივნების შემთხვევაში, ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლეს უნდა სცოდნოდა, რომ საქმის წინა ეტაპზე არსებობდა ნაფიც მსაჯულზე შესაძლო ზეგავლენის დამადასტურებელი სერიოზული მტკიცებულება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა მოთხოვნა წინასწარ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იყო უსაფუძვლო და უფრო მეტიც, გარკვეულწილად გამართლებული საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

## ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის „გონივრული ვადა“

სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, არსებობს თუ არა ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის „გონივრული ვადის“ დაცვის მექანიზმები. აღნიშნული საკითხი განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ საქმეებში.

### ჰენვორთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Henworth v. The United Kingdom)

მომჩივანი, რომელსაც მიესაჯა უვადო პატიმრობა, ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (სამართლიანი პროცესის უფლება გონივრულ ვადაში) დარღვევის თაობაზე<sup>34</sup>.

(§24) სასამართლო შეგვახსენებს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის ვითარებიდან გამომდინარე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული კრიტერიუმები, კერძოდ საქმის კომპლექსურობა, მომჩივნის და შესაბამისი ორგანოების მოქმედება და რა რისკების წინაშე შეიძლება დადგეს მომჩივანი სადავო საქმეში სამართალწარმოებისას.

(§25) ეჭვგარეშეა, რომ სისხლისსამართლებრივი დანაშაული და სამუდამო პატიმრობის ვერდიქტი, მომჩივნისთვის მნიშვნელოვანი როლის მატარებელია.

(§26) რაც შეეხება სამართალწარმოების კომპლექსურობას, ხელისუფლებამ მიუთითა არაერთ მონმეზე, ბრალის სერიოზულობასა და მკვლელობის სისასტიკეზე, როგორც კომპლექსურობის მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საქმეს თან ახლდა გარკვეული სირთულეები. მართალია მომჩივანმა აღიარა, რომ ბრალდების სიმძიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ სამარ-

<sup>34</sup> Henworth v. The United Kingdom, №515/02, ECHR 2005

თაღწარმოება მკვლევლობის საქმეზე შედარებით მარტივი იყო.

- (§27) ხელისუფლება, ასევე ეყრდნობოდა პროცესუალურ კონტექსტს, რამდენადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ დიდი ალბათობით პროფესიონალ მოსამართლეთა შემადგენლობა უფრო დაეთანხმებოდა, ვიდრე ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობა. მათ ვერ დაასაბუთეს ეს მტკიცება, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან თავისი სასამართლო სისტემა ისე მოეწყო, რომ უზრუნველყოფილიყო მისი შესაბამისობა კონვენციასთან, როგორც ეს მომჩივანმა აღნიშნა.
- (§28) სასამართლო მიიჩნევს, რომ პერიოდი მომჩივნის პირველი ბრალდებიდან – 1996 წლის ივლისიდან 1998 წლის თებერვლის სააპელაციო გადაწყვეტილებამდე – რომელიც დაახლოებით 19 თვეს შეადგენს, ზედმეტად ხანგრძლივია რაიმე კონკრეტული ახსნა-განმარტების არარსებობის პირობებში. მთავრობამ ვერ წარმოადგინა რეალური ახსნა-განმარტება საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ გაჭიანურება მომჩივნის მიერ სააპელაციო განაცხადის ორი თვის დაგვიანებით შეტანით აიხსნებოდა. თუმცა, აღნიშნულის გარდა მაინც არსებობს 17-თვიანი გაუთვალისწინებელი პერიოდი.
- (§29) შესაძლოა არ ყოფილიყო სადავო ის ხუთ თვიანი პერიოდი, 1998 წლის თებერვლიდან როდესაც გაუქმდა ბრალდება 1998 წლის ივლისამდე, მომჩივნის პირველ განმეორებით სასამართლო პროცესამდე, მაგრამ ამის შემდგომ იყო 12-თვიანი შეფერხება საქმის ხელახალ გადასინჯვამდე, რომელიც პრობლემის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა. ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ექვსთვიანი შეფერხება, 1999 წლის იანვარსა და ივლისს შორის მომჩივნის ადვოკატის არყოფნით აიხსნებოდა. თუმცა მომჩივანი აცხადებდა, რომ აღნიშნულ საკითხს იგი ვერ გააკონტროლებდა, მაგრამ აღნიშნული მიზეზით საქმის გაჭიანურება მაინც მომჩივანს უნდა მიეწეროს და არა მოპასუხე სახელმწიფოს. დარჩენილი ექვსთვიანი პერიოდი, რომელიც სახელმწიფოს მიზეზით გაჭიანურდა, თავისთავად არ წარმოადგენდა ზედმეტად ხანგრძლივ დროს. ასევე,



ხანმოკლე გაჭიანურება წარუმატებელ საქმის გადასინჯვასა და საბოლოო სასამართლო პროცესს შორის მომჩივანს მიეწერებოდა. როგორც ჩანს, ის 16-თვიანი პერიოდში მომჩივნის 1999 წლის სექტემბრის განაჩენიდან 2001 წლის იანვრის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ზედმეტად ხანგრძლივი არ იყო. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს იმ დროისათვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამართალწარმოება განსაკუთრებული სიფრთხილით წარემართა. მომჩივანი არა მარტო პატიმრობაში იმყოფებოდა, არამედ სამეფო სასამართლომ გადაწყვიტა საქმის გადასინჯვა და ამგვარ ვითარებაში, ხელისუფლებისთვის ვალდებულებას წარმოადგენდა ნებისმიერი საქმის გაჭიანურების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფა. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი, თუ როგორ გადაწყვეტდა საქმეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, ნაუყენებდნენ თუ არა ბრალს მომჩივანს, ასევე დაინტერესება იყო სათანადო მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით როცა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. თუმცა, ეს არ ამცირებს სამართალწარმოებისას განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენის საჭიროებას.

(§30) მხარეები ამჯერად თანხმდებიან, რომ მომჩივანმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 1999 წლის 29 ოქტომბერს, მსჯავრის დადებიდან და დამნაშავედ ცნობიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ. თუმცა, 2001 წლის 19 იანვრამდე სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა მისი განხილვა 14 თვის და 20 დღის ვადით. სამართალწარმოების დასკვნით პერიოდში, რომელიც ლორდთა პალატაში წარიმართა, გაუმართლებელ გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაახლოებით ერთთვიან პერიოდს, რომელიც მომჩივანს მიეწერებოდა.

(§31) ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უმოქმედობის განსაკუთრებულად ხანგრძლივი პერიოდი, არსებობს არაერთი გაჭიანურება, რომელიც საქმის გადასინჯვასთან ერთად აღებული, 1998 წლის ივლისის შემდეგ, ნათლად გვაჩვენებს, რომ სამართალწარმოება საჭირო ტემპით არ წარიმართა და

ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა გონივრულ ვადასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

### **გრშინი რუსეთის წინააღმდეგ (Grishin v. Russia)**

მოცემულ საქმეში<sup>35</sup> მომჩივანი ამტკიცებდა (ერთ-ერთი მოთხოვნა), რომ სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით დადგენილ „გონივრული ვადის“ მოთხოვნას.

(§168) პერიოდი, რომელსაც ეხება წინამდებარე საჩივარი, იწყება 2002 წლის 24 სექტემბრიდან, როდესაც მომჩივანი ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხეს საქმეზე, 2009 წლის 23 ივლისამდე, როდესაც განაჩენი ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ. საქმის განხილვის ვადამ ორი სტანციაში შეადგინა 6 წელი და 10 თვე.

(§170) სასამართლო შეგვახსენებს, რომ სამართალწარმოების განხილვის ხანგრძლივი ვადის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული სტანდარტები, კერძოდ კი, საქმის კომპლექსურობა და მომჩივნისა და შესაბამისი ორგანოების მოქმედებები.

(§171) სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმე საკმაოდ კომპლექსურია. იგი შედგება მძიმე დანაშაულის 10-ზე მეტი ეპიზოდისგან, რომლისთვისაც ბრალდებულია 4 პირი. საქმე მოიცავდა 70 მსხვერპლსა და თვითმხილველს, რომელთა უმეტესი ნაწილიც ცხოვრობდა მაგადადან, სადაც სასამართლო პროცესები იმართებოდა 500 კმ-ით მოშორებით. საქმეზე საექსპერტო დასკვნისთვის მონვეულ იქნა არაერთი ექსპერტი, რომლებიც ასევე დაიკითხნენ სასამართლო პროცესზე.

(§172) საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა 11 თვის მანძილზე. ამ პერიოდში, დაახლოებით თვე ნახევარი მომ-

---

<sup>35</sup> Grishin v. Russia, №14807/08, ECHR 2012

ჩივანი ემალებოდა საგამოძიებო უწყებას, მან დაარღვია უწყებით გათვალისწინებული გამოცხადებისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ ინფორმირების ვალდებულება. ამასთან ერთი თვე და 23 დღე მომჩივანი იმყოფებოდა საავადმყოფოში. 8 დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის თანახმად, ამ დღეებიდან მხოლოდ 7 დღე შეიძლება გამართლებულიყო სათანადო სამედიცინო საფუძვლით, დანარჩენ შემთხვევაში, ექსპერტთა მოსაზრებით, მომჩივანს შეეძლო მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო მოქმედებებში. მომჩივნის წინასწარ პატმრობაში აყვანის შემდეგ გამოძიება წარიმართა გაჭიანურების გარეშე, თუ არ გავითვალისწინებთ 2003 წლის 23 მაისიდან 14 აგვისტოს პერიოდს, როდესაც მომჩივანმა განზრახ გააჭიანურა საქმის განხილვა.

(§173) მომჩივანმა და სხვა ბრალდებულებმა, რომლებსაც წარმოადგენდნენ ადვოკატები, ითხოვეს საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამჯერ დასჭირდა საქმის განხილვა, რადგან მაგადანის რაიონული სასამართლოს განაჩენი რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ ორჯერ გააუქმა.

(§174) პირველ შემთხვევაში რაიონული სასამართლოს დასჭირდა 9 თვე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განსახილველად და განაჩენის მისაღებად, რის საფუძველზეც მომჩივანი გათავისუფლდა. ამ პერიოდის მანძილზე სასამართლო პროცესი გადაიდო 4 კვირით მომჩივნის შუამდგომლობის საფუძველზე და 2 კვირით, ერთ-ერთი დაცვის ადვოკატის გამოუცხადებლობის საფუძველით. უზენაეს სასამართლოს დასჭირდა 6 თვე საქმის სააპელაციო წესით განხილვისას.

(§175) სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საქმის განხილვის გაჭიანურება არ მომხდარა შესაბამისი უწყებების მხრიდან, საქმის თვეობით გადადებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მომჩივანს.

(§176) რაიონულ სასამართლოში საქმეზე მეორე განხილვა გაიმართა უზენაესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტან-

ციის სასამართლო განაჩენის გაუქმებიდან, 2004 წლის 7 დეკემბრიდან ორი წლის შემდეგ. გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა ნაფიცმა მსაჯულმა შერჩევის პროცესში დამალა მისი ოჯახის წევრის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, ამასთან სხდომის თავმჯდომარემ ვერ უზრუნველყო საქმეზე მტკიცებულებათა სწორი შეჯამება.

(§177) პირველ წელს რაიონულ სასამართლოს დასჭირდა 3 თვე მიეღო ხარვეზიანი გადაწყვეტილება განაჩენის სააპელაციო წესით გაუქმების საფუძველზე საქმის საგამოძიებო უწყებაში დასაბრუნებლად.

(§178) საქმის განხილვის 5 თვის ვადით გადაიდო საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ავადმყოფობის მიზეზით და იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელი იყო მომჩივნის საქმის ცალკე სამართალწარმოებად გამოყოფა. დამატებით საქმის გადავადება კიდევ განაპირობა ბრალდებულთა და მათი ადვოკატების გამოუცხადებლობამ სასამართლოში. ზემოაღნიშნულ გაჭიანურებები არ შეიძლება შეერაცხოს მთავრობას.

(§179) სასამართლო განხილვა საბოლოოდ დაიწყო 2005 წლის დეკემბერს და დასრულდა ერთ წელიწადში. ამ პერიოდის მანძილზე სასამართლო პროცესი 2 თვითა და 20 დღის ვადით გადაიდო ნაფიც მსაჯულთა საზაფხულო შვებულებების გამო, რის გამოც მხარეებს მოუწიათ სასამართლოს წინაშე ხელახლა გაეკეთებინათ განცხადებები. ამ ხელახალ პროცედურებს დამატებით 1 თვე დასჭირდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა საზაფხულო შვებულებების საჭიროება აიხსნებოდა მათი სამუშაოს სპეციფიკურობით, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილისთვის დამახასიათებელი პირობებით. ამასთან, მომჩივნის ადვოკატებს ამ საკითხის შესახებ უნდა სცოდნოდათ, რადგან ნაფიცმა მსაჯულებმა საზაფხულო შვებულებების შესახებ წინასწარ გააფრთხილეს როგორც მხარეები, ასევე სასამართლო მათი შერჩევის ეტაპზე. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის მესამე ეტაპზე პროცესის გადადება ხანმოკლე ვადით, დაახლოებით

თვე ნახევრით, მოხდა იგივე საფუძველით. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადადების გამართლების საფუძველი საქმეში არ არის წარმოდგენილი.

- (§180) რაიონული სასამართლოს მეორე განაჩენის სააპელაციო წესით განხილვის ვადა შეადგინა 6 თვე. 2007 წლის 6 ივნისს უზენაესმა სასამართლომ განაჩენა კვლავ გააუქმა. კერძოდ, ამ შემთხვევაში გაუქმების საფუძველი იყო მომჩივნის, სხვა ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება, რამაც განაპირობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საპროცესო წესების დარღვევა და ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე გავლენის მოხდენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მომჩივანმა ხელი შეუწყო საქმის განხილვის გაჭიანურებას.
- (§181) საქმეზე მესამე განაჩენი მიღებულ იქნა ერთი წლისა და 9 თვის შემდეგ, მას შემდეგ რაც 3-თვიანი უმოქმედობის შემდეგ, 2007 წლის სექტემბერში რაიონულ სასამართლოში დაიწყო საქმის განხილვა. ნაფიც მსაჯულთა ფორმირება დასჭირდა 5 თვე, რის შემდეგაც დაიწყო სასამართლო პროცესი. სასამართლო პროცესი ერთი თვით გადავადდა მომჩივნის ავადმყოფობის საფუძველით. მესამე განაჩენის სააპელაციო წესით განხილვა წარიმართა 5 თვის ვადაში. 2009 წლის 23 ივლისს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის განაჩენი.
- (§182) საქმის გადავადება ხშირ შემთხვევაში განპირობებული იყო მომჩივნისა და სხვა ბრალდებულების მიზეზით, რისთვისაც პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს მთავრობას. თუმცა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე მეორე და მესამე ეტაპზე განხილვისას მნიშვნელოვნად გაჭიანურდა დაახლოებით ერთი წელი, რომელიც უკავშირდება მთავრობის პასუხისმგებლობას. ეროვნულ სასამართლოებს უნდა გამოეჩინათ მეტი სიფრთხილე, რახან ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა მათ უნდა უზრუნველყოთ მართლმსაჯულების სათანადოდ სწრაფ ვადაში განხორციელება. საქმის კომპლექსურობისა და მაგდანის რაიონული სასამართლოსთვის

სირთულეების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია სისტემის ეფექტურობასა და საქმის განხილვის გონივრული ვადის მოთხოვნის დასაცავად სათანადო მექანიზმების შემუშავებაზე – ვადის ავტომატური დაწესებით ან სხვაგვარი მეთოდის შემოღების გზით. თუ მთავრობა კვლავ განაგრძნობს პრაქტიკას კონვენციის მე-მუხლის დარღვევით „გონივრული ვადის“ დასაცავად საჭირო ღონისძიებების მიუღებლობით, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა გაჭიანურების ხელშეწყობისთვის.

(§183) ევროპული სასამართლო პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა იყო გადაჭარბებული და არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით დადგენილ „გონივრული ვადის“ სტანდარტს.

### **სუთიაგინი რუსეთის წინააღმდეგ (Sutyagin v. Russia)**

მოცემულ საქმეში<sup>36</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა (მე-6 მუხლის), იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ შეიცვალა საქმის განხილველი მოსამართლე, რომელსაც უკვე ფორმირებული ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. მოსამართლის ჩანაცვლება მთავრობის მხრიდან არგუმენტირებული იყო იმ საფუძველით, რომ მოსამართლე განიხილავდა სხვა რთულ საქმეებს და მას დაგეგმილი ჰქონდა ყოველწლიური შვებულება. სასამართლომ აღნიშნა, რომ რთული გადატვირთული სამუშაო გრაფიკი და შვებულება, ყოველთვის ახლავს ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობას, ამიტომ ეს ფაქტორი არ იყო საკმარისი მოსამართლის შეცვლის ლეგიტიმურ საფუძველად მიჩნევისათვის. სხდომის ახალმა თავმჯდომარემ მოახდინა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის ფორმირება. მომჩივანი დავობდა, რომ საქმეში იკვეთებოდა პოლიტიკური ინტერესი, ნაფიც მსაჯულთა პირველი შემადგენლობა დიდი ალბათობით გამამართლებელ ვერდიქტს გამოიტანდა, სწორედ ამიტომ საქმეზე შეირჩა ახალი მოსამართლე და ნაფიც მსაჯულთა ახალი შემად-

<sup>36</sup> Sutyagin v. Russia (dec), №30024/02, ECHR 2011

გენლობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან მოსამართლის ჩანაცვლება საქმეზე არ იყო განპირობებული სათანადო საფუძვლით მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისად, მომჩივანს შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ აღარ ჩათვალა საჭიროდ დამატებით განეხილა მომჩივნის სხვადასხვა საჩივარი ნაფიც მსაჯულთა მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

(§178) სასამართლო თავდაპირველად განიხილავს მომჩივნის საჩივარს იმის შესახებ, რომ მოსამართლე შ-ს შეცვლა მოსამართლე კ.-ით წარმოადგენდა შეუსაბამობას სასამართლოს „დამოუკიდებლობისა“ და „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნებთან.

(§179) სასამართლო შეგვახსენებს, რომ იმის დასადგენად შეიძლება თუ არა სასამართლო ჩაითვალოს „დამოუკიდებლად“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, სხვა დანარჩენთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი წევრების დანიშვნის მეთოდები და მათი უფლებამოსილების ვადა, გარე წნეხის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმების არსებობა და საკითხი თუ რამდენად დამოუკიდებელი ჩანს სასამართლო.

(§180) „მიუკერძოებლობის“ არსებობა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს სუბიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, ანუ კონკრეტული მოსამართლის სუბიექტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოცემულ საქმეში და ასევე ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, ანუ იმის დადგენის საფუძველზე, მოსამართლემ საკმარისი გარანტიები შესთავაზა თუ არა იმისათვის, რომ გამოორიცხულიყო ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი აღნიშნულთან მიმართებაში.

(§181) სუბიექტური შეფასების ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსამართლე შ-ს მოსამართლე კ.-თი ჩანაცვლებას მომჩივანი ვარაუდობს, რომ იგი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლე მიუკერძოებლად ითვლება მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება და წინამდებარე საქმეში ამგვარი მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, რჩება

მხოლოდ ობიექტური შეფასების გამოყენების შესაძლებლობა.

(§182) მოსამართლეთა პიროვნული ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ობიექტური შეფასებით, უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა. ასეთ შემთხვევაში, გარეგნულმა გამოვლინებებმაც შეიძლება იქონიოს გარკვეული მნიშვნელობა. საფრთხის ქვეშაა ნდობა, რომელსაც უნდა შთააგონებდნენ მოსამართლეები დემოკრატიულ საზოგადოებას და პირველ რიგში, ბრალდებულებს, რამდენადაც საუბარია სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ იმის დადგენისას არსებობს თუ არა კანონიერი მიზეზი შიშისა, რომ რომელიმე კონკრეტული ბრალდებული მიკერძოებულია, ბრალდებულის მოსაზრება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, შესაძლებელია თუ არა ეს საშიშროება ობიექტურად იქნეს დასაბუთებული.

(§183) რადგანაც დამოუკიდებლობის მოთხოვნა და მიუკერძოებლობის მოთხოვნის ობიექტური ასპექტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ისინი ერთ ჭრილში განიხილება.

(§184) სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის სექტემბერში მომჩივნის საქმე განსახილველად გადაეცა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შ-ს, რომელმაც მყისიერად დაიწყო სამართალწარმოება, შეადგინა ნაფიც მსაჯულთა სია და საქმის განხილვა დაიწყო 2003 წლის 3 ნოემბერს. 2003 წლის 26 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნული საქმე გადასცა მოსამართლე კ-ს, რომელმაც ხელახლა დაიწყო სამართალწარმოება 2004 წლის თებერვალში, შეარჩია ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა და 2004 წლის მარტში დაიწყო ახალი სასამართლო პროცესი. დაცვის მხარემ რამდენჯერმე წარუმატებლად გააკეთა განცხადება მოსამართლე კ-ს აცილებაზე. მათ ვერ გამოიყენეს ნაფიცი მსაჯულის აცილების უფლება. საჩივარი მოსამართლე შ-ს შეცვლის გადანყვეტილების შესახებ სააპელაციო გა-



ნაცხადის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. უზენაესმა სასამართლომ, სხვა დანარჩენთან ერთად, შემდგომი განხილვის გარეშე მიუთითა, რომ სასამართლოს უცვლელობის პრინციპი, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დაცული იყო და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

(§185) სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარეს არ მიუღია ახსნა-განმარტება, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, რაც შეეხება მოსამართლე შ-ს მოსამართლე კ-თი შეცვლის საფუძველს და მიზეზებს, ამასთან დაკავშირებით საპროცესო გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. კანონი არ ითვალისწინებდა აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ამას ადასტურებს ხელისუფლება თავის წერილობით ახსნა-განმარტებაში. მომჩვენის საქმეზე სამართალწარმოებამ იხელმძღვანელა ახალი, 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

(§186) მოსამართლეთა კოლეგიის წევრების არაერთხელ შეცვლამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე და ორი მოსამართლე, რომელიც განხორციელდა გაურკვეველი მიზეზებით და არ იყო უზრუნველყოფილი პროცესუალური გარანტიები, აიძულა სასამართლო ეღიარებინა, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიები დაირღვა რუსეთის წინააღმდეგ აღძრულ წინა სასამართლო საქმეზე.

(§187) სასამართლო შეგვახსენებს, რომ ეროვნული სასამართლოს ვალია სამართალწარმოება წარმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება. საქმის განხილვის გადაცემა რომელიმე კონკრეტული მოსამართლისთვის ან სასამართლოსთვის განეკუთვნება დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი ხელისუფლება ამგვარ საკითხებზე. არსებობს ფაქტორების ფართო სპექტრი, როგორიცაა მაგალითად ხელმისაწვდომი რესურსები, მოსამართლეთა კვალიფიციურობა, ინტერესთა კონფლიქტი, სასამართლო სხდომის ადგილის ხელმისაწვდომ-

მოზა მხარეებისთვის და ა.შ. რომელიც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს საქმის გადაცემის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მოვალეობაში არ შედის იმის შეფასება, თუ რამდენად გამართლებული საფუძველი არსებობს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ამა თუ იმ მოსამართლეს ან სასამართლოს დაავალოს (ხელახლა დაავალოს) საქმის განხილვა, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმის განხილვის ამგვარი გადაცემა (ხელახლა გადაცემა) შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, კერძოდ კი, მის მოთხოვნებს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებაში.

(§188) მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აქტის შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს მოსამართლეთა შორის ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. როგორც საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოში წარდგენილი საქმეები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მისი შეხედულებისამებრ.

(§189) მას შემდეგ, რაც საქმე განსახილველად იქნა გადაცემული და სამართალწარმოება დაიწყო, კანონმდებლობის მოთხოვნაა საქმე განსახილველად დარჩეს სასამართლოს იმავე შემადგენლობასთან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ცნობილია, როგორც სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის წესი, 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა გათვალისწინებული. იგი ითვალისწინებს მოსამართლის ჩანაცვლების შესაძლებლობას სხვა მოსამართლით, იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ შეუძლია მონაწილეობის მიღება სასამართლო სხდომაში. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც სხვა რომელიმე კანონი არ ითვალისწინებს გარემოებებს, რომელშიც ამგვარი ჩანაცვლება განხორციელდება, ასევე არ ითვალისწინებს წესებს, რის მიხედვითაც განხორციელდება ჩანაცვლება. კერძოდ, არ არსებობს მოთხოვნა, რომ სასამართლომ გამოიტანოს პროცესუალური გადაწყვეტილება ჩანაცვლების საფუძვლების და მიზეზების მითი-

თებით, რომელიც გასაჩივრებას დაექვემდებარება ზემო-დგომი ინსტანციის სასამართლოში.

(§190) სავარაუდოა, რომ კანონმდებლობა ამგვარ სიტუაციებში შესაძლოა ითვალისწინებდეს მოსამართლის თვითა-ცილებას, მხარის მიერ მოსამართლის აცილებას ან გარე-შე მოვლენებს, რომლებიც ხელს შეუშლიდა პირს დას-წრებოდა სასამართლო განხილვას, მაგალითად, მოსამარ-თლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში. თუმცა, მომ-ჩივნის სასამართლო პროცესზე ასეთ ვითარებას ადგი-ლი არ ჰქონია. ხელისუფლება სასამართლოს წინაშე ამ-ტკიცებდა, რომ სხდომის თავმჯდომარის ჩანაცვლების მიზეზს წარმოადგენდა მოსამართლე შ-ს მიერ სხვა რთუ-ლი საქმეების სისხლის სამართლის საქმის წარმოება და მისი ყოველწლიური შვებულება, რომელიც დაგეგმილი იყო 2003 წლის 15 დეკემბრიდან 2004 წლის 14 იანვრამ-დე. სასამართლო მიიჩნევს, რომ გადატვირთული სამუ-შაო გრაფიკი და ყოველწლიური შვებულება, რომლის შე-სახებაც განაცხადა ხელისუფლებამ, შესაძლოა თან ახ-ლდეს ნებისმიერი მოსამართლის პროფესიულ რეალობას და დამაჯერებლად ვერ ახსნის ინ ფაქტს, რომ მოსამარ-თლე შ. „ველარ მიიღებდა მონაწილეობას“ სამართალწარ-მოებაში. თუ საქმის გადაცემის უკან იმალებოდა გან-ზრახვა, თავიდან აეცილებინათ საქმის განხილვის შეფერ-ხება ისეთი კონტრარგუმენტებით, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევა და სასამარ-თლო განხილვის ნულიდან დაწყება, აღნიშნულიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. გარდა ამისა, სხდომის ახალი თავმჯდომარე ვერ დაინწყებდა სასამართლო გან-ხილვას 2004 წლის მარტამდე, ანუ მისთვის საქმის გადა-ცემიდან 3.5 თვის შემდეგ. როგორც ჩანს, რადგანაც მოხ-და ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირება და და-ინყო სასამართლო განხილვა, ხელისუფლების მიერ მოყ-ვანილი საფუძველი მოცემულ ვითარებაში ვერ იქნება და-მაჯერებელი განმარტება იმის შესახებ, რომ მთლიანი სა-სამართლოს შემადგენლობის შეცვლა აუცილებლობას წარმოადგენდა და სასამართლო პროცესის ხელმეორედ დაწყება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მართლმსა-ჯულების ინტერესები – სასამართლოს თავდაპირველი

შემადგენლობის მიერ საქმის უწყვეტი განხილვა. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა იმ გარემოებების დადგენა, რომელიც გამოიწვევდა მოსამართლის შეცვლას. აღნიშნულის შესახებ, დაცვის მხარეს უნდა სცოდნოდა შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების ფარგლებში. თუმცა, არც ერთი საპროცესო გადანაცვეტილება არ ყოფილა გამოტანილი, რომელშიც მითითებული იქნებოდა მოსამართლის შეცვლის საფუძვლები და მიზეზები ასევე, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, დაცვის მხარე არ იყო ინფორმირებული სასამართლო პროცესის დამთავრებამდე. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა აეცილებინა მოსამართლის შეცვლის შესახებ გადანაცვეტილება.

(§191) უზენაესმა სასამართლომ გადანაცვეტილება ძალაში დატოვა. ანალოგიურ ვითარებაში სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი ინსტანციის სამართალწარმოებაში არ გამოხსნორდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც საბრალდებო განაჩენი და სასჯელი ძალაში დატოვა. მიმდინარე საქმეში უზენაესმა სასამართლომ ხარვეზები არ გამოასწორა.

(§192) ზემოთქმულის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის ეჭვი პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით მის სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად საფუძვლიანად სხდომსხდომის თავმჯდომარის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც მოხდა გაურკვეველი მიზეზების გამო და არ იყო შეზღუდული რაიმე პროცედურული გარანტიებით.

(§193) შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტური შეფასების თანახმად.

## შენიშვნებისთვის

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 20 77  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)